ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 17 ივნისი, 2019 №141 (8095) ფასი: 60 თეთრი

ანტალიაში 61 წლის ქეთევან ქათამაძე თოკით დაახრჩვეს

გვ.7

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ლევან ვასაძე: „უშიშროების ოფიცრებმა მითხრეს, რომ დაგეგმილია კაცის მკვლელობა იქით მხარეს“

გვ.5

„ჩვენ გვექნება კომბლები და გვეყოლება ლეგიონი, რომელიც თბილისის პატრულირებას მოახდენს“

ზაქარია ქუცნაშვილი: „ოქრუაშვილის ძალა ნაცმოძრაობასთან არის ასოცირებული და ვეღარ გაემიჯნება“

„გამარჯვებულ საქართველოს“ მიზანი და იდეოლოგია არ გააჩნია

გვ.2

ბექა ნაცვლიშვილი: „არჩევნებზე ხმის მიცემა სავალდებულო უნდა გახდეს“

რაც უნდა კათარზისი გაიაროს, მოინანიონ ნაციონალურმა მოძრაობამ და „ევროპულმა საქართველომ“, ისინი მაინც ვერ მობრუნდებიან ხელისუფლებაში

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „ზურაბიშვილისა და კობახიძის განცხადებები სამარცხვინო იყო“

გვ.3

სამართალი

21 წლის ახალგაზრდა ფეისბუქზე ყალბ გვერდებს ქმნიდა და მათ მეგობრებს „კრისტალბეთში“ ფულს არიცხვინებდა

„მე არ ვამტკიცებ, რომ ჩემი შვილი „ლურჯი ვეშაპის“ მსხვერპლია“

ჩხუბი ტაეკვანდოს ჩემპიონატზე

დაკავებულია 3 მწვრთნელი

რას ყვება ინგა ბურდული

გვ.7

ეკონომიკა გვ.6

გიგლა მიქაუტაძე: „მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბიუჯეტში ფულის პრობლემაა“

გვ.6

საშა ტერნესი: „კარგი იქნება, თუ საქართველო სამრეწველო პოლიტიკას ჩამოაყალიბებს“

კომპანიების „ოქროს სია“ გაუქმდა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 ჩიტის ბუდეები სახიფათოა — „ყაზტრანსგაზი“ მოსახლეობას აფრთხილებს

8 მარინ ლე პენი: „ევროპას არც უკრაინა სჭირდება და არც საქართველო. ჩვენ რუსეთი გვინდა!“

5 ლევან ჩაჩუა: „ამ ულტრალიბერალურ ჯგუფს უნდა, რომ ქართველები ერთმანეთს დავეტაკოთ“

4 თბილისი დაცული არ არის... 30 კილომეტრში რუსეთის ტანკები დგას

ზაქარია ქუცნაშვილი: „ოქრუაშვილის ძალა ნაცმოძრაობასთან არის ასოცირებული და ვეღარ გაემიჯნება“

„გამარჯვებულ საქართველოს“ მიზანი და იდეოლოგია არ გააჩნია

იაგო ნაცვლიშვილი

ნაციონალური მოძრაობა ტოქსიკური ძალაა. მასთან ასოცირება მოწამვლას იწვევს

რამდენიმე დღის წინ ქართულ პოლიტიკურ სივრცეს კიდევ ერთი პოლიტიკური ძალა შეემატა. თავდაცვის ექსმინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა თანამოაზრეებთან ერთად მოძრაობა „გამარჯვებული საქართველო“ დააფუძნა, რომელიც მთავარ მიზნად საქართველოში ბელადომანიის დამარცხებას ისახავს.

როგორ მიიღეს მმართველ გუნდში ახალი მოძრაობის დაფუძნება, გაუხსენებენ თუ არა ირაკლი ოქრუაშვილს წინა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს და როგორ ფიქრობს, შეცვლის თუ არა პოლიტიკურ ამინდს ირაკლი ოქრუაშვილის მოძრაობა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი საუბრობს:

– ახალ-ახალი პოლიტიკური ძალები იქმნება. ახლახან პრეზენტაცია ჰქონდა ირაკლი ოქრუაშვილს, რომელმაც მოძრაობა „გამარჯვებული საქართველო“ შექმნა. გამოიკვეთა რაღაც კონტურები, რა მოლოდინი გაქვთ, შეცვლის თუ არა ის ქვეყნის პოლიტიკურ ამინდს?

– თუ თქვენ მეკითხებით ირაკლი ოქრუაშვილის გარშემო შექმნილ მოძრაობაზე, მაშინ გამიჭირდება პასუხის გაცემა. იმიტომ, რომ არ ვიცი რა მიზნით, რა იდეოლოგიით შეიქმნა ეს მოძრაობა. გარდა იმ ზოგადი ფრაზისა, გაბრაზებულები ვართო. გაბრაზებულები ვართ, ამ საფუძვლით მოძრაობის შექმნა დიდი გამარჯვებისთვის საკმარისი არ იქნება.

– მათ თქვეს, საქართველოში ბელადომანია უნდა დავასრულოთო. რეალურად გითხრეს, რომ ქვეყანაში ბელადია. ეს რას ნიშნავდა თქვენთვის?

– ოპოზიციური პარტიები მიდრეკილი არიან რადიკალიზაციისკენ, პოზიციას გამოხატავენ რადიკალური ფორმით, აქედან გამომდინარე, მათი შეფასებაც რადიკალურია. ასე რომ, მათი შინაარსი და ფორმა რადიკალურია... მაგრამ, ვიმეორებ, როდესაც ქმნი რაღაცა მოძრაობას, მას უნდა ჰქონდეს მიზანი და იდეოლოგიური საფუძველი. მე არ ვიცი, რა იდეოლოგიური საფუძველი და რა მიზანი აქვს. ყველა ოპოზიციური პარტია ამბობს, ჩვენ არჩევნებში გავიმარჯვებთო. ეს ფრაზა გამარჯვებისთვის საკმარისი რომ იყოს, მაშინ საქართველოში 300 გამარჯვებული პარტია უნდა გვყავდეს. ყველა დარწმუნდა, რომ ეს ფრაზა „ჩვენ არჩევნებში გავიმარჯვებთ“ საკმარისი არ არის გამარჯვებისთვის.

– ანუ გამოდის, რომ მათ ამ ტაქტიკაში ვერ ეთანხმებით?

– არ ვიცი, რა იდეოლოგია და მიზანი აქვთ, რა ხერხებს გამოიყენებენ. რაც არ ვიცი, ის როგორ შევაფასო?!

– ანუ, როცა პარტია თუ პოლიტიკური მოძრაობა იქმნება, მას თავიდანვე უნდა ჰქონდეს ეს ყველაფერი გაცხადებული?

– ზოგადად ნებისმიერი მოძრაობა უნდა იქმნებოდეს იდეის მატარებელი ლიდერის გარშემო და ეს ლიდერი უნდა იყოს მთავარი და მისი განმახორციელებელი. იდეა, გარდა გაბრაზებულებისა და იმისა, რომ ამბობენ, გავიმარჯვებთო, მე არ მომისმენია. აქედან გამომდინარე, მიჭირს იმის შეფასება, რაც არ მომისმენია და არ დამიხავს.

– ლიდერი არის ირაკლი ოქრუაშვილი. მისი პოლიტიკური წარსული რას გეუბნებათ? ის იყო იმ ხელისუფლებაში, რომელსაც დღემდე აკრიტიკებთ და 9 წელს ახსენებთ მმართველი გუნდი. აკისრებთ თუ არა გარკვეულ პასუხისმგებლობას მასაც იმაზე, რა შეცდომებიც წინა მმართველობის დროს იყო?

– ირაკლი ძალიან წინააღმდეგობრივი პიროვნებაა. მისმა ბოლო პოზიციამ საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობასთან გაერთიანებასთან გამო მთელი საზოგადოება გაოცებული დატოვა, იმიტომ, რომ ყველას ეგონა, ირაკლი ოქრუაშვილი ნაციონალურ მოძრაობას მოწინააღმდეგედ აღიქვამდა. მისი პირადი საკითხებით დაწყებული და საზოგადოებრივით დამთავრებული, აღმოჩნდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს იმ გუნდში იყო. ამან, ჩემი აზრით, იმედგაცრუება გამოიწვია მის ბევრ მხარდამჭერში.

მე ვიზიარებ აჩიკო თალაკვაძის პოზიციას, რომ ნაციონალური მოძრაობა ტოქსიკური ძალაა. ამ დროს მასთან ასოცირება იწვევს მოწამვლას. აქედან გამომდინარე, წინასწარ არ მინდა შეფასებების გაკეთება, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი იმედგაცრუებულია იმით, რაც იხილა.

– ანუ გგონიათ, რომ ოქრუა შვილის მიერ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მხარდაჭერა იქონიებს გავლენას ამომრჩევლის თვალში?

– იქონიებს. გინდა, არ გინდა, მასთან ასოცირებას უარყოფითი გავლენა აქვს. ნახეთ, რომ ახალმა პოლიტიკურმა მოძრაობებმა, რომლებიც ჩაისახა, ნაციონალურ მოძრაობასთან დისტანცირება გააკეთეს. მაგალითად, ალეკო ელისაშვილის მოძრაობამ და სხვა მოძრაობებმა არ მოახდინეს ამ პარტიასთან ასოცირება. ბოკერია რომ ბოკერიაა, ისიც კი ცდილობს ნაციონალურ მოძრაობასთან გამიჯვნას. ასე რომ, ახალი თუ ძველი ძალები ნაციონალურ მოძრაობას ემიჯნებიან და შენ მას ეკედლები, რა თქმა უნდა, ეს გავლენას მოახდენს და მასზე უარყოფითად იმოქმედებს.

– თუ რაღაც წარმატების მიღწევა უნდა, ამ პოლიტიკურ ძალას ნაციონალურ მოძრაობასთან გამიჯვნა მოუწევს?

– გამიჯვნას ვეღარ შეძლებს, მაშინ როცა ყველამ იცის, რომ მის გუნდში იყო საპრეზიდენტო არჩევნების დროს და მის კანდიდატს უჭერს მხარს.

– მაგ ლოგიკით ბევრი იყო მხარდამჭერი. ბოკერია ახსენეთ და მისი პარტიაც მხარს უჭერდა გრიგოლ ვაშაძეს მეორე ტურში.

– ბოკერიას ჯგუფმა მეორე ტურში დაუჭირა მხარი ოპოზიციური სოლიდარობის გამო, თორემ ვნახეთ, რომ ახლა ჩატარდა შუალედური არჩევნები და ისინი ერთ პოლიტიკურ ოჯახში არ ყოფილან.

– ხელისუფლებას ხშირად გახასიათებთ ხოლმე, როცა ოპოზიციას ახსენებთ წარსულს, იმ შეცდომებსა და გადაცდომებს, რომლებიც ჰქონდათ მათ. ამ შემთხვევაშიც გაახსენებთ თუ არა ოქრუა შვილს იმ მძიმე კადრებს, რომლებიც იყო, დაჭერები, ბორდელებში შევარდნა და ა.შ? იქნება თუ არა ეს მეთოდები თქვენს რიტორიკაში?

– ჩვენს რიტორიკაში ირაკლი ოქრუაშვილის საწინააღმდეგოდ?

– დიახ.

– ჩემს რიტორიკაში არ იქნება. მე არ მჩვევია ასეთი სტილის კამათი.

– ამ შემთხვევაში თქვენს პოლიტიკურ გუნდს ვგულისხმობ და არა პერსონალურად თქვენ.

– სხვები რა რიტორიკას გამოიყენებენ თავისუფალ ქვეყანაში, როგორ გითხრათ. მე არ ვიცი, ვინ რას გაუხსენებს ოქრუაშვილს. ჩემს რიტორიკაში არ იქნება. მე, როგორც წესი, ადამიანებს წელს ქვემოთ არ ვურტყამ. სხვები როგორ მოიქცევიან, მაგაზე მე ვერ გიპასუხებთ. გამოხატვის თავისუფლებაა და ყველა შეუძლია, გაიხსენოს ის, რაც საჯაროდაც ცხადი იყო.

– არ თანხმდებით ხოლმე საერთო მესიჯებზე გუნდში?

– არა, საერთო მესიჯების სისტემა გვაქვს. ისევე, როგორც ყველა პოლიტიკურ მოძრაობას, ჩვენც გვაქვს საერთო მესიჯების სისტემა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ინდივიდუალიზმს. მე თუ ვხედავ, რომ მაქვს ჩემი განსხვავებული აზრი, მას გამოვხატავ. ასე რომ, არ მაქვს ეგ კომპლექსი, რომ ყველა შემთხვევაში ის უნდა გავიმეორო, რაც საერთოა.

– ახსენეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა ტოქსიკური ძალაა და ოქრუა შვილის მოძრაობა რაღაცნაირად ასოცირებულია მასთან. ახსენეთ ბოკერიას ფრთაც. თქვენთვის პირადად რომელი პოლიტიკური ძალაა მიუღებელი, ისეთი, რომელთანაც არასდროს ითანამშრომლებდით?

– ჩემთვის კომუნისტები და ნაციონალები ლამის გაერთიანებული არიან. ეს ორი ძალა ჩემთვის დაახლოებით ერთნაირია. ერთი ერთში ვერ ვიტყვი, მაგრამ დაახლოებით ერთნაირად მიუღებელი პოლიტიკური ძალებია. ყველა სხვას წარმატებას ვუსურვებ. ყველა მოძრაობაში არიან კარგი ადამიანები, ისევე, როგორც ყველა მოძრაობაში არიან საზოგადოებისთვის მიუღებელი ადამიანები.

– ნაციონალურმა მოძრაობამ რებრენდინგი ვერ დაგანახათ და ის, რომ წარსულის შეცდომებს იაზრებენ?

– ეს რაღაცაში ხომ უნდა გამოიხატებოდეს?! როცა უტიფრად ამტკიცებენ, რომ მათი მმართველობა საუკეთესო იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და როცა ცდილობენ, მცირედი პროცესი წარმოაჩინონ ქვეყნის აღმშენებლობად, მაშინ, როცა ქვეყნის აღმშენებლობა ეფუძნება ღირებულებებს – თავისუფლებასა და მშვიდობას, ხოლო მათი მმართველობისას არც ერთი იყო და არც მეორე, როცა ეს მთავარი ფუნდამენტები გამოცლილი ჰქონდა და ეს არ არის აღმშენებლობის იერსახე.

არ ვუკარგავ მასობრივი კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას. მიმაჩნია, რომ მათი ხელისუფლების მიღწევაა მასობრივი კორუფციის დამარცხება. მაგრამ, მე კარგად ვიცი, რომ, მაგალითად, კეზერაშვილი არაფრით მივიდა პოლიტიკაში და როგორ გამდიდრდა, ან თავად სააკაშვილს სამოთახიანი ბინაც არ ჰქონდა, როცა პოლიტიკაში მივიდა და მდიდარი გახდა. დიახ, ელიტურ კორუფციასა და მართვად საბაზრო ეკონომიკაზე ვსაუბრობ. თავად განსაზღვრავდნენ, ვინ იმპორტიორი უნდა ყოფილიყო, ვინ – ექსპორტიორი და, თუ მათთან არ გქონდა დალაგებული, ვერც ვერაფერს შემოიტანდი და ვერც გაიტანდი. 3 კომპანიაში იყო განაწილებული საწვავის იმპორტის საკითხი, 2 კომპანიაში იყო განაწილებული ხორბლის იმპორტის საკითხი და განაწილებული იყო ყველა ბიზნესის საქმიანობა მართვადი პირების მეშვეობით.

მამუკა ბახტაძე: „საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მისი მომავალი კრემლიდან არ განისაზღვრება“

საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და მისი მომავალი კრემლიდან არ განისაზღვრება, – ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ჟურნალისტის მიერ გრიგორი კარასინის განცხადებებთან დაკავშირებით დასმულ კითხვას.

პრემიერის თქმით, რუსეთი ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად ცდილობს თავისი პროპაგანდით, შექმნას ერთგვარი განცდა, რომ სწორედ რუსეთს აქვს ვეტოს უფლება საქართველოს საგარეო პრიორიტეტებთან დაკავშირებით. მთავრობის მეთაურის შეფასებით, ბოლო განცხადებებიც ამ მცდელობის ნაწილია. „კიდევ ერთხელ მსურს გავიმეორო ის, რასაც ყოველთვის ვაფიქსირებ ნებისმიერ საერთაშორისო ფორმატში. ეს დრო ჩაბარდა წარსულს, საქართველო არის დამოუკიდებელი ქვეყანა და კრემლიდან არ განისაზღვრება საქართველოს მომავალი. ჩვენმა ერმა გააკეთა თავისი ცივილიზებული არჩევანი, რომელიც გულისხმობს საქართველოს ინტეგრაციას ნატო-ში, საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ სამი მიმართულებით ჩვენ ვართ წარმატებულები. საქართველო ნატო-სთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა. საქართველო ევროკავშირთან ასე ახლოს არასდროს ყოფილა და საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობები ასეთ მაღალ ნიშნულზე არასდროს ყოფილა. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი გამოიღებს შედეგს და საქართველო გააგრძელებს თავის სტაბილურ და მდგრად განვითარებას. ჩვენი საერთაშორისო მისწრაფებები არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული. ეს არის სწორედ რუსული პროპაგანდის ნაწილი. ჩვენი საერთაშორისო მისწრაფებები ორიენტირებულია პირველ რიგში ჩვენს ეროვნულ ინტერესებზე და იმ ფასეულობებზე, რომელიც გვაერთიანებს თითოეულ ჩვენგანს, აერთიანებს ნატო-ს და აერთიანებს ევროკავშირს, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ბექა ნაცვლიშვილი: „არჩევნებზე ხმის მიცემა სავალდებულო უნდა გახდეს“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ბექა, საარჩევნო თემა პოლიტიკურად მგრძნობიარეა, ამბობს ირაკლი კობახიძე. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ხელშესახებ ცვლილებებს ელოდებით?

– საუბარია არა საარჩევნო სისტემის შეცვლაზე, არამედ საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებაზე. თან, მოგეხსენებათ, ამ ყველაფერს წინ ამერიკის სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს განცხადება უძღვოდა. თუ პომპეო გვეტყვის, გავაკეთებთ, თუ არ გვეტყვის, არ გავაკეთებთ! – ასე თუ ვიცხოვრეთ, ეს არის კოლონია, სხვა კი არაფერია კოლონია. ეს არის ტრაგედია, ჩვენ თვითონ ჩვენს საჭიროებებს ვერ ვაცნობიერებთ და ასე ვართ – ვინ რას გვეტყვის. ვმოქმედებთ სხვისი მითითებით.

არჩევნები, ადამიანების სოციალური მდგომარეობა, სამოქალაქო უფლებები – ამ ყველაფრის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება სწორედაც რომ ნეოკოლონიალურია. ამიტომ გამოსავალი არის ხელისუფლების ცვლილება. ეს უნდა გააცნობიერონ ადამიანებმა.

– თუმცა, ჩვენ ვნახეთ მთაწმინდაზე არჩევნები, რაც შეიძლება მეტი იმედგაცრუების საფუძველი გახდეს. მიდგომები შეიცვლება. არის ამისთვის მზად ხელისუფლება?

– ჩვენ ხელისუფლების მზაობაზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული. თუ ხელისუფლებას ამის მზაობა არ აქვს, ეს მზადყოფნა ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა გამოვიჩინოთ.

მე ვთვლი, რომ მთელ პროცესს შეცვლიდა არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობა. თუ სავალდებულო გახდებოდა არჩევნებში მონაწილეობა, მაშინ კოორდინატორებისა და სხვების მონაწილეობა არჩევნებში საჭიროებას უბრალოდ დაკარგავდა, გარდა ამისა, ეს ხარისხს გაზრდიდა. თუ ამომრჩეველი ყველა კანდიდატს, ყველა პარტიას გადახაზავდა, ეს უფრო ნათელ სურათსაც შექმნიდა. ახლა ამომრჩეველი სახლში რჩება და ამ ყველაფერს ნიჰილისტური განწყობებით ხსნით და ვართ ასე რაღაცის შემყურე. როდესაც კანდიდატისადმი, ამა თუ იმ პარტიისადმი ამომრჩევლის ცალსახა უარყოფაა, ეს სურათს ბევრად უფრო ნათელს გახდიდა.

არც ერთი პარტია სახელმწიფოებრივად არ უყურებს პროცესს, ყველა თავისი ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამოდის და ისე მოქმედებს. „ქართულ ოცნებას“ უნდა, რომ 2020 წელსაც მოიგოს არჩევნები. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ დათმობს არსებულ საარჩევნო სისტემას და არაფრით არ გადავა პროპორციულ სისტემაზე.

რატომ არ გადავიდა თავის დროზე ნაციონალური მოძრაობა, რა, მაშინდელი ოპოზიცია იმავეს არ ითხოვდა?! არ გადავიდა იმიტომ, რომ ხელისუფლებაში დარჩენა უნდოდა. ანალოგიურად მოქმედებს დღეს „ქართული ოცნება“.

– თითქოს ორი ვადის შემდეგ ხელისუფლებას თმობენ. არ ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ 2020 წელს დათმობს ხელისუფლებას?

– არ დაიჯეროთ, რომ საქართველოში ასეთი კანონზომიერება არსებობს, რომ ორი ვადის შემდეგ ხელისუფლების გადაბარება ხდება. ასეთი კანონზომიერება არ არსებობს!

რაც უნდა კათარზისი გაიაროს, მოინანიონ ნაციონალურმა მოძრაობამ და „ევროპულმა საქართველომ“, ისინი მაინც ვერ მობრუნდებიან ხელისუფლებაში

მე 2012 წლის მოვლენების აქტიური მონაწილე ვარ და კარგად ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილი არსად არ აპირებდა წასვლას. მიხეილ სააკაშვილი წავიდა იმიტომ, რომ, თუ არ წავიდოდა, რევოლუცია გარდაუვალი იყო. ხალხის ნება იყო მისი წასვლა და იძულებული გახდა, წასულიყო.

– ახლა ამ კონდიციამდე არ არის მისული ხალხის ნება?

– ახლა სხვა რეალობაა. ვინაიდან მკვეთრად ორპოლუსიანია საარჩევნო პროცესი, ამიტომ ამომრჩეველი იძულებით არჩევანს აკეთებს. ის, ვინც მიდის არჩევნებზე, აკეთებს იძულებით არჩევანს, მეორე ნაწილი კი სახლში რჩება.

ეს რეალობა გვაქვს: საერთოდ არ უნდა „ქართული ოცნება“, მაგრამ ირჩევს, რომ არ მობრუნდეს ნაციონალური მოძრაობა, იგივე „ევროპული საქართველო“, რომელიც პოლიტკორექტულობის ჩარჩოს მორგებას ცდილობს.

რაც უნდა კათარზისი გაიაროს, მოინანიონ ნაციონალურმა მოძრაობამ და „ევროპულმა საქართველომ“, ისინი მაინც ვერ მობრუნდებიან ხელისუფლებაში. ასეთია ამომრჩევლის ნება. ამიტომ ელექტორალური თვალსაზრისით მათ უგებს „ქართული ოცნება“. ძალიან რთული ვითარებაა.

– ბევრი ახალი პოლიტიკური პარტია გამოჩნდა. კიდევ რამდენიმე პარტიის პრეზენტაციაა დაანონსებული.

– ვინ უნდა გამოჩნდეს ისეთი, რომელიც შეძლებს ამ ორი მონსტრის დამარცხებას?! ეს როგორ გესახებათ?! როგორი კატაკლიზმები უნდა მოხდეს ქვეყანაში, რომ ასე უცებ ჯანსაღი ძალა გამოჩნდეს, რომელიც ჩაანაცვლებს ხელისუფლებას?! დღევანდელი მოცემულობით, ამის შანსი არ არსებობს.

– და მაშინ რა არის გამოსავალი?

– ის, რაც მოხდა ჭიათურაში! ეს პროცესები თუ დაიწყება და პოლიტიკურ ხასიათს მიიღებს!

– გაფიცვას გულისხმობთ, მათ შორის მოსწავლეების გაფიცვას?

– დიახ, ზუსტად ამას ვგულისხმობ! აქედან თუ ამოიზრდება პოლიტიკური პროცესი, ეს იქნება ხელისუფლების ცვლილებისა და ახლის დაწყების საფუძველი და არა რომელიღაცა კარგად დავიწყებული ძველი, რეანიმირებული პარტიის პარლამენტში შესვლა.

სალომე ზურაბიშვილი: „ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და გვაქვს შანსი, ვიყოთ მოქნილი“

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბორჯომში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და რეგიონის განვითარების შესაძლებლობასა და პოტენციალზე ესაუბრა. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ბოლო ექვს თვეში რამდენიმე რეგიონს ესტუმრა, მათ შორის ეწვია აბასთუმანს, სადაც სრული აღმშენებლობა მიმდინარეობს, ეს კი მთლიანი რეგიონის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

– აბასთუმნიდან ძალიან კარგი შთაბეჭდილებით წამოვედი. მიმდინარეობს სრული აღმშენებლობა ამ პატარა და მნიშვნელოვანი ქალაქის, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნია, პოტენციალი რომელიც ვრცელდება მთელ რეგიონზე. დარწმუნებული ვარ, შემდეგი ეტაპი სამედიცინო და სარეაბილიტაციო ტურიზმის განვითარებაა, რომელიც ერთ დიდ სტრატეგიაში იქნება მოქცეული„, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. მისი განცხადებით, ჩვენი ვალდებულებაა მაქსიმალურად შევინარჩუნოთ ეს სიმდიდრე და კლიმატური ცვლილებების პრობლემების მიუხედავად, მაქსიმალურად გადავარჩინოთ ის. საქართველოს პრეზიდენტმა საზღვარგარეთ რეგიონის პოპულარიზაციის მზადყოფნა გამოთქვა, უმუშევრობის პრობლემაზე და პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას კი, აღნიშნა, რომ დღეს გარკვეული პროფესიის სპეციალისტების ნაკლებობაა, რაც თავისთავად პრობლემას წარმოადგენს.

– დღეს უმუშევრობის ძალიან მაღალი დონეა ქვეყანაში, მეორე მხრივ, ძალიან ბევრგან ვერ ვპოულობთ საჭირო სპეციალისტებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას სჭირდება და კადრები უცხოეთიდან შემოდიან, ეს უნდა დავაბალანსოთ. ნაწილობრივ ეს ხელისუფლების გასაკეთებელია, რათა უფრო კარგად დაგეგმოს და მოსახლეობას წინასწარ უთხრას ეკონომიკის პრიორიტეტები, სად რა მუშახელი დასჭირდება, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ხელისუფლების პასუხისმგებლობა. პრობლემა დღეს ხელოსნების ნაკლებობაა, რომელიც სჭირდება ქვეყნის განვითარებას, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

როგორც სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, იგი ძალიან ოპტიმისტია, რადგან ხედავს, რომ ქვეყანას დიდი შესაძლებლობები და პოტენციალი გააჩნია.

– ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და გვაქვს შანსი, ვიყოთ მოქნილი. ესეც საზოგადოების მზაობაზეა დამოკიდებული, რათა განვავითაროთ ყველაზე მთავარი – პირადი ინიციატივა, რომლის გარეშეც არაფერი ხდება და, სამწუხაროდ, დღეს ქვეყანაში კიდევ ის განწყობაა, რომ ელოდებიან რაღაც მითითებებს, განკარგულებებს და რჩევას. გადის დრო და ყველაზე წარმატებულები არიან ისინი, ვინც თავიანთ თავზე იღებენ ინიციატივას. მართალია, რთულია საქმის დაწყება, მაგრამ არსებობს ბევრი სახელმწიფო პროგრამა, რომლებიც ახალგაზრდებს აძლევს საშუალებას, წარმოაჩინონ საკუთარი თავი. ძალიან ბევრი წარმატებული ქალი ვნახე რეგიონებში, რომლებიც დაუბრუნდნენ მიწას, თავიანთ რეგიონს, იმიტომ რომ აიღეს ინიციატივა, რადგან გაბედეს. ხშირ შემთხვევაში ქალები უფრო გამბედავები არიან, – განაცხადა პრეზიდენტმა და მოსახლეობას მეტი აქტივობისაკენ მოუწოდა.

პაატა ზაქარეიშვილი: „ზურაბიშვილისა და კობახიძის განცხადებები სამარცხვინო იყო“

„ვინც ლგბტ პირებს მიუვარდა, მათ გაუწია რეკლამა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, კონფლიქტოლოგი, პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, საზოგადოების ნაწილი გააღიზიანა ლევან ვასაძის განცხადებებმა. გაკეთდა შეფასებები, რომ ის რუსეთის მიერ არის მართული. სულ იყო შეფასებები, რომ ის წინასაარჩევნოდ გააქტიურდებოდა, ახალ ოპოზიციურ ძალას შექმნიდა. არაფერი შეგეშალოთო, გვესმის მისი მუქარანარევი განცხადება. რა უნდა ლევან ვასაძეს?

– აშკარად ჩანს, რომ მას უნდა არეულობა და ამ არეულობაში მღვრიე წყალში თევზის დაჭერა. ეს არის ძალიან დამაფიქრებელი, იმიტომ, რომ ეს ადამიანი ეჭვქვეშ აყენებს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ საფუძვლებს.

კონსტიტუციაში თანაბრად წერია ყოველი მოქალაქის თანასწორობა და ადამიანების უფლება, სიტყვის თავისუფლებაზე, გამოხატვის თავისუფლებაზე, შეკრებებსა და მანიფესტაციებზე და ეს ადამიანი ამას ყველაფერს ეჭვქვეშ აყენებს. ეს ძალიან დამაფიქრებელია.

ის სპეკულირებს ეკლესიის სახელით. ვასაძეში არაა საქმე და არც ეკლესიის ზოგიერთი საეჭვო წარმომადგენლებში. საქმეა სახელმწიფოში. სახელმწიფო რამდენად დგას კონსტიტუციის სადარაჯოზე. ეს არის პრინციპული პოზიცია. თუ სახელმწიფო კონსტიტუციას იცავს, ვერანაირი ვასაძეები ვერანაირ პრობლემას ვერ შეუქმნის ქვეყანას. აი, ესაა მთავარი. ამიტომ ჩემთვის ყოველთვის შემაშფოთებელია, არსებობენ თუ არა ქვეყანაში ინსტიტუტები და შეუძლიათ თუ არა, გაუმკლავდნენ ასეთ გამოხდომებს.

არ მომეწონა პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ ორი ძალა ერთმანეთს უპირისპირდება და ესენი შუაში უნდა ჩადგნენ. ეს არის სირცხვილი! არავითარი ორი ძალა ერთმანეთს არ უპირისპირდებოდა. იქ იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც იყენებდა კონსტიტუციას, რათა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია მოეხდინათ და იყო მომხდურთა ჯგუფი, აგრესიული ჯგუფი, რომლებიც მათ ხელს უშლიდნენ.

შუაში ჩადგომა კი არ იყო საჭირო, ვინც მიუვარდა, ანუ რასაც კონ-

ტრაქცია დაარქვეს, საჭირო იყო მათი დაპატიმრება. ასევე სამარცხვინო იყო პრეზიდენტის განცხადება.

– რას გულისხმობთ, რა იყო სამარცხვინო? მან განაცხადა, ყველას პრეზიდენტი ვარო.

– ეს არ არის პრობლემა, ყველას პრეზიდენტი არის, კი ბატონო, ეს არ არის მთავარი, უნდა იყოს ის ყველას პრეზიდენტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ არის. გამოდის და აცხადებს, ხელი უნდა შევუშალოთ ორივე მხარის პროვოკაციებსო. რა პროვოკაცია იყო ელგებეტედან, მე არ მესმის. არავითარი პროვოკაცია არ ყოფილა.

– რას მოითხოვთ მისგან?

– მას მკაცრად და პრინციპულად უნდა ეთქვა, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ ის ადამიანები, რომლებიც იცავენ კონსტიტუციას, კონსტიტუციის საფუძველზე იყენებენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას და ჩვენ არ დავუშვებთ კონსტიტუციის დარღვევას! აი, ასე უნდა ეთქვა და არა ის, რომ ერთმანეთთან გაეთანაბრებინა ორი ჯგუფი, ერთი მშვიდობიანი და მეორე მოძალადე.

სირცხვილი იყო როგორც კობახიძის, ისე სალომე ზურაბიშვილის განცხადება. ეს ადამიანები საკუთარი სკამის ინტერესების გამტარებლები არიან. მათ არ უნდათ, გააღიზიანონ ვიღაცა. მათ არ უნდათ გააღიზიანონ რეაქციული, ანტიკონსტიტუციური ძალები. აი, ესაა პრობლემა. რა თქმა უნდა, რუსეთს აწყობს აქ არეულობა.

– რამდენად ფიქრობთ, რომ ლევან ვასაძე რუსეთიდან არის მართული?

– ვასაძეს მართავს საკუთარი კაცთმოძულეობა. აი, ესაა მთავარი. მას არათანასწორული აზროვნება აქვს, ის ქედმაღალი და პატივმოყვარეა. აი, აქედან იმართება. მე მაწუხებს ჩვენს საზოგადოებაში არსებული ასეთი კაცთმოძულეობა. რა თქმა უნდა, რუსეთის დაინტერესება არის არეულობა, როგორიც გინდა, იყოს, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს. ვინც ამ ძალებს მართავს, მათ ძალიან კარგად იციან, რომ ქართველების ნაწილი არიან კაცთმოძულეები, ქსენოფობები, ვერ იტანენ ერთმანეთს და ეს ახარებს ჩვენს მტერს.

შიგნით არსებულ პრობლემებს მივხედოთ პირველ რიგში. ჩვენ რომ კარგები ვიყოთ, აქ დასაყრდენს ვერ ნახავდნენ. ჯერ ჩვენში ვეძებოთ პრობლემები და მერე გარეთ.

– ახლოვდება 2020 წლის არჩევნები და ამბობენ, რომ ბევრ ძალას აწყობს ქაოსი, არეულობა, დესტაბილიზაციის შემოტანა. ისეთი ძალები, როგორსაც ქმნის ვასაძე, რამდენად მოიკიდებენ ფეხს ქვეყანაში?

– იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო იქნება თავის ადგილზე. ვიმეორებ, მე არ მადარდებს ვასაძე, მე მადარდებს სახელმწიფო. პრობლემაა, სახელმწიფო როგორ უპასუხებს მათ. კეთილი ვინებოთ და სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ვილაპარაკოთ და არა რამდენი ვასაძე გვყავს და რა გვარების არიან ისინი. მათი ქმედება არ შეესაბამება კონსტიტუციას? მორჩა, ასეთი სარეველა უნდა ამოიგლიჯოს. ზოგიერთი ეკლესიას აბრალებს რაღაცას.

– როგორია ეკლესიის როლი ამ ყველაფერში?

– ეკლესია კონსერვატორია თავისი ბუნებით. ეკლესიის წიაღში ვერ იბუდებს ელგებეტე საზოგადოების მიმართ პატივისცემა. მარტო ჩვენთან კი არა, კათოლიკურმა ეკლესიამ გამოაქვეყნა ცოტა ხნის წინ ახალი წესდება და სასწავლო გეგმა, როგორ უნდა იმუშაონ ახალგაზრდებთან და ძალიან მკაცრი ფორმულირებებია იქ ელგებეტე საზოგადოებაზე.

ანუ ის კი არ არის მთავარი, ვინ რას აკეთებს, მთავარია, სახელმწიფო რას აკეთებს, როგორ პასუხობს ამას ყველაფერს. სახელმწიფომ ყველას უნდა უთხრას, იმავე ეკლესიასაც, რომ ეს შენი განცხადება არ შეესაბამება კონსტიტუციას, ამიტომ მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა შენი პოზიცია არ იყოს წარმატებული. ყველაფე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

თბილისი დაცული არ არის... 30 კილომეტრში რუსეთის ტანკები დგას

გულიკო ბალაძე



გაჩნდა თუ არა საქართველოს ნატოში მიღების რეალური შანსი? რა შეიძლება მოხდეს, თუ ნატოს რომელიმე სამიტზე საქართველოს ნატოში მიღების გადაწყვეტილება გამოცხადდება? როგორი შეიძლება იყოს რუსეთის რეაქცია საქართველოს ნატოში გაწევრიანების განაცხადის შემდეგ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ თავის ანალიზს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე უზიარებს.

– ბატონო პეტრე, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ საჭიროა საქართველოს დაჩქარებული მიღება ნატოში. ეს შეიძლება დეკემბრის სამიტისთვის მზადების კონტექსტში იყოს ნათქვამი. თქვენ პომპეოს განცხადებამ რაიმე მოლოდინი ხომ არ გაგიჩინათ?

– პომპეოს განცხადებამ არავითარი მოლოდინი არ გამიჩინა. უმაღლეს დონეზე არაერთხელ ითქვა, რომ არ აპირებენ საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღებას. საქართველო და უკრაინა არ არიან მზად მიღებისთვის. მინდა, ყურადღება გავამახვილო ამერიკის ამჟამინდელ ტრაგედიაზე.

– ამერიკის ტრაგედიაში რას გულისხმობთ, ჩინეთთან დაპირისპირებას?

– არა. ტრაგედია ისაა, რომ ამერიკის პრეზიდენტი, სამხედრო ძალების მთავარსარდალი ხშირად ამბობს ერთს, ხოლო სახელმწიფო მდივანი პომპეო და ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში ბოლტონი (უზარმაზარი ძალაუფლების მქონე ადამიანი) აბსოლუტურად სხვას ლაპარაკობენ. თუმცა, შემდეგ ჩუმდებიან და პრეზიდენტის სიტყვები რჩება. ცოტა ხნის წინ ბოლტონმა და პომპეომ განაცხადეს, რომ მადურო ვენესუელის ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს, დაუშვებელია რუსეთის ჩარევა ვენესუელის საქმეებში, რუსეთის მიერ გამოგზავნილი მცირე კონტინგენტი უნდა გავიდეს ვენესუელიდან. ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების ნახევარსფერო და იქ რუსეთის ჩარევას არ დავუშვებთ. ასეთი მკვეთრი განცხადებების შემდეგ ტრამპმა თავისი ინიციატივით დაურეკა პუტინს, საათ-ნახევარი ელაპარაკა. შემდეგ თავის ვებგვერდზე ტვიტერში დაწერა, რომ მიესალმება რუსეთის ყოფნას ვენესუელაში. ამის შემდეგ პომპეო და ბოლტონი გაჩუმდნენ, ანუ ამერიკის ადმინისტრაციის თავკაცები ამბობენ ერთს, პრეზიდენტი საპირისპიროს ამბობს. ეს ხდება მსოფლიოს უძლიერეს ზესახელმწიფოში, რაც ამერიკისთვის ტრაგედიაა და მსოფლიოსთვის მძიმე შედეგების შემცველია. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ძალიან ფრთხილად უნდა მოქმედებდეს.

– პრაღაში აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იგორ კარასინი დაგვემუქრა, საქართველოს ნატოში მიღება დამღუპველად იმოქმედებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზეო. რუსეთი დარწმუნებულია, რომ საქართველო ნატოში შეიძლება მიიღონ და ამიტომ იმუქრება თუ ეს მისი ჩვეული რეაქციებია?

– რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მუქარა მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდისტული ხასიათის განცხადებაა. რუსეთის ხელისუფლებამ, დაწყებული პუტინით, კარასინით დამთავრებული, შესანიშნავად იცის, რომ ნატო რუსეთს არანაირად არ ემუქრება. ნატოს კოშმარულ სიზმარშიც არ მოუვა აზრად, რომ რუსეთს დაემუქროს. ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ნატოს თავკაცებთან, ნატოს წევრი ქვეყნების პრეზიდენტებთან და იციან, რომ ამ ისტორიულ ეტაპზე არავინ აპირებს საქართველოს ნატოში მიღებას. ამიტომ კარასინის განცხადება სუფთა პროპაგანდისტული ხასიათისაა.

– ამ საკითხს ამერიკის კონგრესშიც იხილავენ, სადაც ითქვა, რომ თურმე ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები ამბობდნენ, თუკი საქართველოსა და უკრაინას ნატოში მივიღებთ, რუსეთთან ომის მდგომარეობაში აღმოვჩნდებითო. თუმცა, ახლა ამერიკელები ამ ფაქტორის გადალახვაზე ალაპარაკდნენ.

– ასე წლების განმავლობაში ხდება, მაგრამ, როგორც წესი, რეალისტური შეხედულება იმარჯვებს. დასავლეთში არიან ადამიანები, იგივე ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებს შორის, ნატოს შტაბ-ბინაში, აშშ-ში, მათ შორის, ამერიკის კონგრესსა და სენატში, ვისაც კარგად ესმით, რომელიმე სამიტზე რომ გამოცხადდეს, საქართველოს მოკლე ვადებში ნატოში მიიღებენ, იციან, რა მოხდება.

– რა მოხდება?

– ჯერ გეტყვით, რომ მონტენეგროს შემთხვევაშიც გამოცხადდა გადაწყვეტილება და ამას წელიწად-ნახევარზე მეტი დრო დასჭირდა. შემდეგ მონტენეგრო მართლა მიიღეს. გადაწყვეტილებას ცალ-ცალკე ყველა ქვეყანამ უნდა უყაროს კენჭი. ასევე იყო მაკედონიასთან დაკავშირებითაც, რომელმაც სახელიც კი შეიცვალა და ჩრდილოეთ მაკედონია გახდა, მაგრამ რუსეთმა მუქარების გარდა ვერაფერი შეძლო.

– რუსეთმა ვერაფერი შეძლო მონტენეგროსა და მაკედონიასთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველოსთან დაკავშირებით აგრესია არაერთხელ აქვს განხორციელებული. ეს გასათვალისწინებელია თუ არა?

– ამას ვამბობდი. რა მოხდება, ნატოს რომელიმე სამიტზე საქართველოს ნატოში მიღების, ან მაპის მინიჭების, ანუ გაწევრიანების გეგმის გადაწყვეტილება რომ გამოცხადდეს? ერთი წლის განმავლობაში პროცედურები დასრულდება და საქართველო ნატოს წევრი გახდება? ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, თუნდაც იგივე ღამით, საქართველოს ტერიტორიაზე მოხდება რუსეთის სამხედრო ნაწილების გადაადგილება.

– როგორ?

– არ დავიწყებ მარჩიელობას, ეს მოხდება აფხაზეთში მდებარე ბაზიდან, ცხინვალში მდებარე ბაზიდან თუ სომხეთის ტერიტორიაზე, გიუმრიში არსებული ბაზიდან.

– ასეთი საშიშროება ნამდვილად შეიძლება არსებობდეს?

– ეს საშიშროება კი არა, რეალობაა, რაც ძალიან კარგად იციან ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა, რეალისტებმა. ამის შესახებ ბევრჯერ ითქვა. რუსეთის მხრიდან შემოტევა ჰაერიდანაც შეიძლება მოხდეს, შეიძლება – ზღვიდანაც. ამ გადაადგილების შედეგად ისინი დაიკავებენ ძველი ბაზების ტერიტორიას. მაგალითად, ახალქალაქში ძლიერი ბაზა იყო. ბაზები იყო სენაკსა და თბილისში (ვაზიანში).

– ანუ თუ ნატოში მიგვიღებენ, რუსეთმა შეიძლება საქართველოს ოკუპაცია მოახდინოს? რასაც თქვენ ამბობთ, ეს უკვე ოკუპაციას ნიშნავს.

– ოკუპაცია განხორციელებულია. საქართველოს თითქმის 20% ოკუპირებულია და ამ ტერიტორიებზე დგას რუსეთის ჯარი.

– ოკუპირებულია 20%. მე საქართველოს მთლიან ოკუპაციაზე ვლაპარაკობ.

– ზოგიერთი ვერ აცნობიერებს, რას ნიშნავს, როდესაც ქვეყნის დედაქალაქ თბილისიდან, დიღომში გადატანილი დავით აღმაშენებლის ძეგლიდან სულ რაღაც 30 კილომეტრში რუსული ტანკები დგას. ოკუპაციაც არის და ოკუპაციაც. ასეთი რეალობის წინაშე ვდგავართ.

– თუ პირდაპირ სამიტზე მოხდება საქართველოს გაწევრიანება და აღარ იქნება წინასწარი ვადები, რუსეთი პირდაპირ ნატოს დაუპირისპირდება და მაინც შეეცდება საქართველოს მთლიან ოკუპაციას?

– ქვეყნის პირდაპირ მიღებას ნატოს წესდება და ნატოს წევრი ქვეყნების კონსტიტუციები კატეგორიულად არ უშვებენ. საჭიროა ერთი წელი, რომლის განმავლობაში არაერთი ტექნიკური ასპექტი გვარდება. პროცედურებში შედის 28 თუ 29 ქვეყნის პარლამენტებში ამ საკითხის განხილვა და კენჭისყრა. რუსეთის სამხედრო ძალებს, გენერალიტეტს კი ადგილზე ვითარების შეცვლა მაშინვე შეუძლიათ. მათი გადაადგილება შეიძლება, იმ ღამესვე განხორციელდეს. ამისთვის ყველაფერი მზად აქვთ.

– ანუ, ფაქტობრივად, რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ინტერესების მძევალი ვართ. ჩვენი ქვეყანა რუსეთის სამხედრო მანქანის მძევალია.

– მე ვიკავებ ხოლმე თავს ასეთი მკვეთრი შეფასებებისაგან. ამ საკითხს უფრო მეცნიერულად ვუდგები, მაგრამ, როდესაც დედაქალაქიდან 30 კილომეტრში უცხო ქვეყნის (ოკუპანტი ქვეყნის) ტანკი დგას, ამას რა ჰქვია? ანუ ამ ტანკს შეუძლია, დედაქალაქში შევიდეს მაქსიმუმ 1 საათში. ამისთვის გზა გახსნილია.

– ე.ი. დედაქალაქიც არ არის დაცული?

– სააკაშვილი ამბობდა, თბილისი ყველა მხრიდან საიმედოდ დავიცავითო. ჯერ ერთი, სისულელეა 21-ე საუკუნეში თხრილებით დედაქალაქის დაცვა, მეორეც – მე გავიარე და მაჩვენეს ის თხრილები, რომლის გაკეთებაზე ათეულობით მილიონი დაიხარჯა, 20-30 სანტიმეტრის თხრილებია, რომელსაც მე გადავაბიჯე. ახალაია მინისტრად რომ დანიშნა, ამ კაცმა თბილისის დაცვა შეძლოო, ეს არის ტყუილი. ის ფული შეჭამეს, თავის ჯიბეებში ჩაიდეს. 10 მილიონი ლარი დაიხარჯა და გამაგრების კვალს ვერ ნახავთ, რაზეც საუბრობდნენ. თან ამაზე ლაპარაკი სასაცილოა, როდესაც ყველაფერს საჰაერო ძალები წყვეტენ, როგორც ეს 2008 წელს იყო.

– კარასინი თავის განცხადებაში კეთილმეზობლობაზე ამახვილებს ყურადღებას. თვითონ რუსეთი საქართველოს კეთილი მეზობელი რომ არ არის, ეს საქართველოში პატარა ბავშვმაც იცის, მით უმეტეს, 2008 წლის შემდეგ. თვითონ რუსებს თუ გააჩნიათ იმის შეგრძნება, რომ რუსეთი კეთილი მეზობელი უნდა იყოს?

– მე პირადად ვიცნობ რუსეთის ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლებს. ზოგიერთ მათგანს (საკმაოდ ბევრს) რუსეთის დატოვება მოუწია და უცხოეთში გადაიხვეწა. მათ მიაჩნიათ, რომ პუტინის ჩეკისტური რეჟიმი რუსი ხალხის, რუსეთის სახელმწიფოს დაუძინებელი მტერია. აღნიშნავენ, მეზობელი ქვეყნის, საქართველოს სრულიად არაპროპორციულ, დადებით წვლილს, ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის არსებობაში, ახსენდებათ ბოროდინოს ველზე დაღუპული 12-ზე მეტი გენერალი, სახელგანთქმული ქართველი. ახსენდებათ ქართველების სრულიად არაპროპორციული წვლილი ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს კულტურაში, მეცნიერებაში. ხელოვნების გამოჩენილ ჩვენს მოღვაწეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. გარდა ამისა, ერთმორწმუნე ერი ვართ.

– პუტინი იქნება, სტალინი, პეტრე პირველი თუ სხვა ვინმე, ჩვენი ურთიერთობა არ აეწყო, მუდმივად არაკეთილმეზობლური დამოკიდებულება გვაქვს.

– თავად ილია ჭავჭავაძე თავის წერილში „ასი წლის წინათ“ წერს, რომ ქართველები ფიზიკურად გადაურჩნენ გენოციდს იმის გამო, რომ რუსეთთან შეერთება მოხდა. ილია იქ ბევრ სხვა რამესაც წერს.

– საინტერესოა, ილია დღევანდელი გადასახედიდან რუსეთზე რას დაწერდა.

– დღეს პუტინის ჩეკისტური რეჟიმი რუსეთის ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლების მიერ შეფასებულია, როგორც რუსი ხალხის მტერი, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ გადაიმტერეს ერთმორწმუნე ხალხი (ქართველები), რომელიც, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, მისთვის ყველაზე ახლობელი და მოკავშირე უნდა იყოს.

– უკრაინასაც იგივე გაუკეთეს.

– უარესი გაუკეთეს უდიდეს ქვეყანას უკრაინას. თვითონ რუსები აღნიშნავენ, რომ რუსეთში შეგზავნილი მტერი ვერ მოახერხებდა იმას, რაც პუტინმა და მისმა ჩეკისტურმა რეჟიმმა გაუკეთა რუსეთს – უკრაინა გადავიმტერეთ მაშინ, როდესაც მათზე ახლობელი ხალხი არ გვყავს ფიზიკურად, ისტორიულადო.

უკრაინაში კი ღიად ამბობენ, პუტინს ყველგან ძეგლები უნდა დავუდგათ. პუტინის მოქმედება რომ არა, ეროვნულობის შეგრძნება – რომ ჩვენ სხვანი ვართ, დასავლეთში უნდა ვიყოთ, ჩვენთვის ღირსეული ადგილი ევროპაშია და არა რუსეთთან – ასე მძლავრად არ იფეთქებდა. ეს პუტინმა შეძლო თავისი აგრესიული მოქმედებით.

– რისი ეშინია რუსეთს, რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელობას?

– პუტინსა და მის ჩეკისტურ რეჟიმს იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, დაწყებული მოსკოვში სახლების აფეთქებით (რისი მეშვეობითაც მაშინ პუტინმა რეიტინგი მოიპოვა. ამაზე წიგნებიც დაიწერა, გამოკვლევებიც არის. პატრუშევმა ხომ აღიარა), ბესლანში რაც მოხდა – სისხლიანი, საზარელი დანაშაული, მოსკოვში დარბაზში ჩეკისტებმა 150 ადამიანი გაზით რომ დახოცეს.

გამოქვეყნებულია, პუტინმა და მისმა ჩეკისტურმა დაჯგუფებამ ტრილიონ დოლარზე მეტი გაიტანა რუსეთიდან ძირითადად ამერიკაში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში – ოფშორებში. პუტინმა შექმნა კოოპერატივი „ოზერო“ პეტერბურგში, ყველა ბევრი მილიარდის მქონე პირია მასში. ეს სულ პუტინის ქონებაა, რომელიც შეფასებულია, სულ ცოტა, 200 მილიარდი დოლარით, თუმცა, რუსი მკვლევრები ხაზს უსვამენ, რომ პუტინის სახელზე გაფორმებული არაფერია.

– ელცინის დროსაც გვქონდა პრობლემები 1992-93 წლებში.

– რუსეთის გენერალიტეტისა და გერეუს პოზიცია ოდნავადაც არ შეცვლილა. ალბათ გახსოვთ გრაჩოვის განცხადება, „აფხაზეთი ჩვენი ინტერესების პოლიგონია. ჩვენ მას არასოდეს დავაბრუნებთ საქართველოს“. ამ ბერკეტებით ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საქართველო დასავლეთის ქვეყანა გახდეს. ასეთი განწყობაა.

– ბირთვული იარაღის მქონე, გაეროს მუდმივი წევრი ქვეყანა რუსეთი, ვეტოს უფლებით, როდესაც ემუქრება პატარა საქართველოს, ეს ხომ სასაცილოდ ჩანს?

– არა მარტო სასაცილოა. დავეთანხმები ერთ მაღალი რანგის დიპლომატს, ასეთი დიდი ქვეყანა თავის პატარა მეზობელთან ასეთი ტონით არ უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ წლების განმავლობაში არა მარტო სასაცილოდ, არამედ საკუთარი იმიჯისათვის, რუსეთის სახელმწიფოსა და ერისთვის უაღრესად დამანგრეველი მოქმედებების ნაკადი მოდის პუტინის ჩეკისტური რეჟიმისაგან.

მათ გაეროს უშიშროების საბჭოში არაერთი საკითხი დაბლოკეს. ამით პირდაპირ მოახდინეს ლუსტრაცია, რომ თვითმფრინავი თვითონ ჩამოაგდეს. მათ ბევრ საკითხს დაადეს ვეტო, თუნდაც სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება ასადის მიერ. ამაზე მეტი სირცხვილი და თავის მოჭრა მსოფლიოში რა უნდა იყოს, როდესაც ჯერ ქიმიურ იარაღს უგზავნი, შემდეგ გამოძიებას ვეტოს ადებ.

– რუსეთში კოლაფსს, აყირავებას ელოდებით?

– ყველაზე დიდი სპეციალისტებიც კი, ვინც ახლა მუშაობენ რუსეთზე, კითხვის ნიშნის ქვეშ სვამენ დროს, რა დროსაც შეიძლება, რუსეთში კოლაფსი მოხდეს, აყირავდეს. უბრალოდ, პირდაპირ ამბობენ, რომ ამ გზას კატასტროფამდე მიჰყავს რუსეთი. პუტინის რეჟიმს არ აქვს რესურსი, გაატაროს ის რეფორმები, რომლებიც რუსეთის ეკონომიკას კოლაფსისაგან დაიცავს.

მეორეა – არავის უხარია, რომ რუსეთში მოსალოდნელია კოლაფსი. წარმოიდგინეთ, კოლაფსი, განუკითხაობა, პოლიტიკური ქაოსი განხორციელდება ქვეყანაში, რომელსაც აქვს აშშ-ზე არანაკლები ბირთვული არსენალი. ვის ხელში იქნება ბირთვული არსენალი? ვის ხელში იქნება წითელი ღილაკი? როცა გორბაჩოვი ფაროსზე ვითომ დააპატიმრეს, მაშინ კგბ-ს შენობაში არც ერთი ადამიანი ფიზიკურად არ დარჩა, ყველა გაიქცა იმიტომ, რომ კითხვა დაისვა, სად არის წითელი ჩემოდანი? არავინ არაფერი იცოდა. დასავლეთის ცნობილი ექსპერტები ამბობენ, რომ ახალი ხელისუფლება არ შეიძლება იყოს ცოტათი უკეთესი. ჩანს რისკი, ადრე თუ გვიან რუსეთში შეიძლება მოხდეს კოლაფსი (თარიღს არავინ ასახელებს), რომელიც მსოფლიოსთვის ძალიან დიდი რისკის შემცველი იქნება, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთის მეზობელ ქვეყნებზე.

– ალბათ რუსეთს ამდენს იმიტომ უთმენენ.

– აქ საინტერესოა პირდაპირ ამერიკის ყოფილი ელჩის ციტირება: „რუსეთი, სამწუხაროდ, დაადგა გარდაუვალი დაცემისა და კოლაფსის გზას. ეს არის საშიში მთელი მსოფლიოსათვის. ამიტომ ჩვენ ვერ მივიღებთ საქართველოსა და უკრაინას ნატოს რიგებში, მაპსაც ვერ მივცემთ, რადგან ეს გამოიწვევს რუსეთის მობილიზაციას, რომ მთელი ძალით ამას შეებრძოლოს, რაც დააჩქარებს რუსეთის კატასტროფას“. აპატურაიმ და სხვებმაც გააკეთეს განცხადებები, საქართველოს ვუფრთხილდებითო.

პაატა ზაქარეიშვილი: „ზურაბიშვილისა და კობახიძის განცხადებები სამარცხვინო იყო“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რი კონსტიტუციის ფარგლებში, აი ეს უნდა შევახსენოთ ყველას, მათ შორის ეკლესიას. ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის დადებულია ხელშეკრულება და რა ჰქვია ამ ხელშეკრულებას?!

– რა ჰქვია?

– ამ ხელშეკრულებას არ ჰქვია არც ეკლესიური ხელშეკრულება, არც სახარების ხელშეკრულება, არ ჰქვია არც ქრისტიანული ხელშეკრულება. მას ჰქვია საკონსტიტუციო ხელშეკრულება, ანუ ეკლესია მოთავსებულია კონსტიტუციაში. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თავის დროზე, რომ ეკლესია ჩაესვათ კონსტიტუციურ ჩარჩოში. ამას პირდაპირ ჰქვია საკონსტიტუციო შეთანხმება. ამიტომ ეკლესია უნდა ჩაეტიოს კონსტიტუციაში.

– ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდანაც ვერ დაინახეთ სახელმწიფოებრივი და კონსტიტუციური მიდგომები?

– ვერ დავინახე, ვერც ერთხელ ვერ დავინახე. მე დავინახე ორი სამარცხვინო განცხადება, ერთი პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძისა და მეორე – პრეზიდენტ ზურაბიშვილის.

– ელგებეტე ჯგუფებმა საზოგადოებას თავზე არ უნდა მოახვიონ თავიანთი შეხედულებებიო.

– ვის ახვევენ თავს? ამ ადამიანებს აქვთ შეკრებისა და მანიფესტაციების უფლება. თუ ვინმემ ვინმეს თავზე რამე მოახვია, ეს არის რეაქცია ამ ჯგუფზე. ეს ჯგუფი რომ ცალკე ყოფილიყო თავისთვის, ჩაატარებდნენ ამ აქციას და დაიშლებოდნენ ისე, რომ ამას ვერავინ გაიგებდა.

მე ჩემი ბუნებით არა ვარ ამ ღირებულებების მატარებელი, მაგრამ მე ვიცავ ამ ადამიანების კონსტიტუციურ უფლებას. ვინც მიუვარდა, ვინც შეეცადა, ამ ადამიანებისთვის ხელი შეეშალათ, სწორედ ამ ხალხმა გაუწია მათ რეკლამა და პროპაგანდა.

ერთმა უგვანმა მწერალმა რომ დაწერა რაღაცა წიგნი, რაღაც საიდუმლო სირობა თუ ამდაგვარი და მღვდლები რომ მიუცვივდნენ, ეს წიგნიც ერთ დღეში გაიყიდა.

– ანუ ანტირეკლამა ზოგჯერ საუკეთესო რეკლამაა?

– რა თქმა უნდა. ისინი რომ რ მივარდნოდნენ, ის წიგნი არ გაიყიდებოდა დღემდე. ამიტომ მე არც ერთი მხარე მაინტერესებს და არც მეორე, მაინტერესებს მხოლოდ ერთი მხარე და ეს არის სახელმწიფო და მისი პოზიცია.

ლევან ჩაჩუა: „ამ ულტრალიბერალურ ჯგუფს უნდა, რომ ქართველები ერთმანეთს დავეტაკოთ“

„გაკრეფილ შუას შევავსებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

სიტუაცია ლგბტ-თემსა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის დაანონსებულ „თბილისი პრაიდამდე“ 4 დღით ადრე დაიძაბა. რატომ მივიდნენ 14 ივნისს მთავრობის ადმინისტრაციასთან? რატომ მოიხსენიებენ ცუდად პარტნიორი სახელმწიფოების ელჩებს? რას აპირებენ მომავალში? – ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.

ლევან ჩაჩუა:

– პირველ რიგში, სულთმოფენობას ვუ-ლოცავ „ახალ თაობასა“ და მის მრავალრიცხოვან მკითხველს. ვუსურვებ ერს, რომ ეკლესიური გახდეს. 14 ივნისს სპონტანურად შევიკრიბეთ კანცელარიასთან. ლგბტ-პრაიდი 18-დან იგეგმებოდა და მაშინ ვაპირებდით ამ ღონისძიებების ჩაშლას. კანცელარიასთან რამდენიმე ასეული კაცი უცებ იმიტომ შევიყარეთ, რომ ლგბტ-პრაიდის ორგანიზატორებისთვის ტერიტორიის დაკავების საშუალება არ მიგვეცა.

– მათ მთავრობასთან ჰქონდათ პრეტენზიები. ტერიტორიის დაკავებაში რას გულისხმობთ?

– გამოცდილებამ გვასწავლა, რომ ასეთ ხალხს შეუძლია ტერიტორიის დაკავება ხანგრძლივი დროით თბილისის ცენტრში. არ გახსოვთ შარშანდელი მაისი? თავიდან ერთი პატარა აქცია ჰქონდათ დაანონსებული. ამ აქციამ მერე უსასრულო სახე მიიღო და ნარკომანიის პროპაგანდაში გადაიზარდა. ახლაც შეიძლებოდა, იგივე მომხდარიყო. ჩვენ მათ გეგმები ჩავუშალეთ. უნდოდათ, რომ ლგბტ-პროპაგანდა და თავისი აქტივობა პრაიდამდე დაეწყოთ და მოვლენებისთვის დაესწროთ. საბაბად გამოიყენეს საპატრიარქოს განცხადება, რომელშიც ჩვენი ეკლესია პრაიდის გამართვის წინააღმდეგ გამოდის.

– თქვენ 14 ივნისის შემდეგ რუსეთის ინტერესების გატარებასა და დასავლელი ელჩების მიმართ აგრესიას გდებენ ბრალად.

– ზეწოლა და აგრესია ელჩების მხრიდან იყო. აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა თავისთან დაიბარა საპატრიარქოს წარმომადგენლები. იქ მივიდნენ მაღალი იერარქები, რომელთა ვინაობას ვერ დავასახელებ. ელჩის შემცვლელმა სასულიერო პირებს სხვა ქვეყნების ელჩები დაახვედრა, ასე, 4 თუ 5 დიპლომატი. უცხოელმა დიპლომატებმა ჩვენი საპატრიარქო საყვედურებით აავსეს. ეკლესიის წარმომადგენლებმა პრინციპული პოზიცია დაიკავეს და განაცხადეს, რომ ერის სულისკვეთებასა და განწყობას გამოხატავენ. სამწყსოსთვის მიუღებელია ლგბტ-ღონისძიებების გამართვა და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა. რომელ რუსულ ინტერესებზეა ლაპარაკი! დასავლეთის წინააღმდეგ და რუსეთის სასარგებლოდ სწორედ აგრესიული ელჩები მუშაობენ.

– რანაირად მუშაობენ ისინი რუსეთზე?

– თავიანთი განცხადებებით, მოქმედებებით, ზეწოლით, ჩვენი რელიგიისა და ქართული ტრადიციებისადმი უპატივცემულობით ისინი ჩვენს საზოგადოებაში ანტიდასავლურ განწყობას იწვევენ. სააკაშვილის დროს, როცა მე და კიდევ რამდენიმე უდანაშაულო მორწმუნე ადამიანი არაფრის გამო დაგვაკავეს, აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი იყო. სააკაშვილის რეჟიმი ისედაც სასტიკად ექცეოდა ხალხს. ჩვენს დაკავებაში ჯონ ბასსაც მიუძღვის წვლილი. ამ ხელისუფლების დროს სინდისის პატიმრებად გვაღიარეს, ბასს კი პასუხი არ უგია. ახლანდელი ელჩებიც ძალიან აზიანებენ დასავლეთის რეპუტაციას.

– თქვენი მოძრაობა თანამოაზრეებთან ერთად ადრევე აცხადებდით, რომ ლგბტ-პრაიდს შეებრძოლებოდით. 14 ივნისს თქვენთან ერთად გამოჩნდა ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელმაც 16 ივნისს თანამოაზრეები ვერის ბაღში მიიწვია. ლევან ვასაძესთან თანამშრომლობას აპირებთ?

– მადლობა მინდა ვუთხრა ლევან ვასაძეს იმისთვის, რომ 14 ივნისს შემოგვიერთდა და გამთენიამდე ჩვენთან ერთად ქუჩაში იდგა. მან შეხვედრა და გეგმების განხილვა შემომთავაზა. არა მგონია, რომ მხოლოდ პრაიდის თემაზე ვისაუბროთ. კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის მზად ვარ.

ჩვენს მოძრაობას მეცნიერებთან ერთად შემუშავებული აქვს პროგრამები სხვადასხვა დარგში. კარგი იქნება, თუ ამ ყველაფერზე მეცნიერებთან და ლევან ვასაძესთან ერთად ვიმსჯელებთ. ჩვენი მოძრაობა კარგა ხანია თანამშრომლობს გურამ ფალავანდიშვილთან, გურამ ქართველიშვილთან, დიმიტრი ლორთქიფანიძესთან, ხათუნა მაჭავარიანთან და მათ ორგანიზაციებთან. კანცელარიასთან ყველანი ვიყავით.

– ლგბტ-პრაიდის ორგანიზატორები ორშაბათს, 17 ივნისს, აპირებენ შეხვედრას ხელისუფლების, საერთაშორისო ორგანიზაციების, საელჩოების წარმომადგენლებთან. მათ უსაფრთხოების გარანტიები უნდათ.

– ამ ულტრალიბერალურ ჯგუფს უნდა, რომ ქართველები ერთმანეთს დავეტაკოთ. მათი მიზანი პროვოკაციები და დესტაბილიზაციაა. ამ ხალხის ოცნებაა 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის გამეორება. მაშინ პოლიცია საკუთარ ხალხს არბევდა. ახლაც უნდათ, რომ პოლიციელები აგვიმხედრონ იმათ, ვისაც ლგბტ-პროპაგანდა და გარყვნილების ზეიმები არ გვინდა.

არა მგონია, რომ პოლიცია გაგვისწორდეს. პოლიციაში ჩვენზე არანაკლები ქართველები და მართლმადიდებლები მუშაობენ. ადრეც ვთქვი, რომ დაპატიმრებებისაც არ გვეშინია. ხალხი ჩვენსავით ფიქრობს. საზოგადოების დახმარებით გაკრეფილ შუას შევავსებთ. ისე შევცვლით ყველაფერს, რომ შუას გამკრეფი ქოცები და ნაცები პოლიტიკიდან გაქუსლავენ.

მარიონეტი ქოცები და მარიონეტი ნაცები ერთი მედლის ორი მხარეა და ორივე ხელს უშლის ქვეყნის განვითარებასა და ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ნორმალურ ცხოვრებას.

კომპანიების „ოქროს სია“ გაუქმდა

კომპანიების „ოქროს სია“ გაუქმდა – ბიზნესს იმპორტის გადასახდელების გადახდის ვადა 30 დღის ნაცვლად 5 დღეში მოუწევს. ფინანსთა მინისტრის ბრძანებას რადიო კომერსანტის გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი ივა ჭყონია აფასებს.

– „ოქროს სიაში“ იყვნენ ის კომპანიები, რომლებსაც ჰქონდათ მაღალი რეპუტაცია და ბრუნვა, ამ კომპანიებს ქვეყნის ეკონომიკაში საკმაოდ მსუყე ადგილი ჰქონდათ დაკავებული. ძალიან რთულია, როდესაც ასეთი სერვისით სარგებლობ და ერთ დღეში გეუბნებიან, რომ ველარ ისარგებლებ. კომპანიები არ არიან მომზადებულები, მათ უკვე გაწერილი აქვთ 2019 წლის გეგმა, აქვთ გარკვეული ტვირთები აღებული და აწყობილი აქვთ ბიზნესმოდელი. ეს წარმოუდგენლად დიდი პრობლემა არის ბიზნესისთვის. გაძვირდება ლოჯისტიკა მინიმუმ 5-15%-მდე. ლოგიკურად მივალთ იქამდე, რომ გაძვირდება პროდუქციის თვითღირებულებაც, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება სამომხმარებლო კალათაზე და უგუნურია ის, ვინც ამტკიცებს რომ მთავრობის ეს გადაწყვეტილება ფასებზე არ აისახება. ამ გადაწყვეტილებით მთავრობამ მცირე და საშუალო ბიზნესსაც შეუქმნა პრობლემა. მათ 5 დღეზე ჩამოუყვანეს და 10-დღიანი საშეღავათო პერიოდი მოუხსნეს. მცირე და საშუალო ბიზნესს წვდომა ვერ ექნება საფინანსო ინსტიტუტებთან, ისინი დამატებით საბანკო რესურსს ვერ მოიზიდავენ და ზოგს სავარაუდოდ, ბაზრიდან გასვლაც მოუწევს.

რატომ არ მოგვცა ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფომ ჩვენ, ბიზნესს, იმის დრო, რომ მომზადებული დავხვედროდით ამ რეგულაციების მოხსნას. ბიზნესს, რომლის მიერ გადახდილ გადასახადებზეც დგას ქვეყანა, უნდა ჰქონოდა საშუალება, მომზადებულიყო. დამერწმუნეთ, ინვესტორებისთვის ასეთი სწრაფი გადაწყვეტილებები ნიშნავს არასტაბილურ გარემოს ქვეყანაში, – ამბობს ივა ჭყონია.

კომერსანტი

ჩიტის ბუდეები სახიფათოა — „ყაზტრანსგაზი“ მოსახლეობას აფრთხილებს

„ყაზტრანსგაზი“ ჩიტის ბუდეებიდან გამომდინარე საფრთხესთან დაკავშირებით მოსახლეობას აფრთხილებს. გაზგამანაწილებელი კომპანია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ფოთლები, ბალახები, ხავსი, ფესვები და ა.შ. – ეს არის იმ მასალის ნაწილი, რომლებსაც ფრინველები ბუდეების ასაშენებლად იყენებენ.

– ჩიტების უმეტესობა ბუდობას აპრილიდან იწყებს და თითქმის აგვისტოს ბოლომდე აგრძელებს. გაინტერესებთ, რა კავშირშია ფრინველები და გაზი ერთმანეთთან? ფრინველების ბუდობისა და შემდგომ პერიოდში იმ ადამიანების მოწამვლა-გარდაცვალების რისკები იზრდება, რომლებსაც სახლში აკრძალული, ღიაკამერიანი გაზის დანადგარები კუსტარულად აქვთ დამონტაჟებული. ფრინველები ბუდეს ღიაკამერიანი წყლის გამაცხელებლების ან გაზის გამათბობლების მილში იკეთებენ.

ეს კიდევ ერთი მიზეზია, რატომ არ უნდა მოვიხმაროთ სახლში ან დახურულ სივრცეში ღიაკამერიანი გაზის დანადგარები. დაამონტაჟეთ მხოლოდ დახურული წვის კამერიანი წყლის გამაცხელებლები (ე.წ. კალონკები) და გაზის გამათბობლები. კომპანიის სპეციალისტებმა საცხოვრებელი სახლების შემოწმებისას ბოლო დღეებში რამდენიმე მსგავსი ფაქტი აღმოაჩინეს.

გაზგამანაწილებელი კომპანია მოგიწოდებთ. უარი თქვით ღია წვის კამერიანი დანადგარების საცხოვრებელ ფართში მონტაჟზე. არ დაამონტაჟოთ ე.წ. გოფრირებული მილები. დარეკეთ (240 40 04) და შეამოწმეთ თქვენი გაზგაყვანილობა – მომსახურება უფასოა, – ნათქვამია განცხადებაში.

კომერსანტი

ლევან ვასაძე: „უშიშროების ოფიცრებმა მითხრეს, რომ დაგეგმილია კაცის მკვლელობა იქით მხარეს“

„ჩვენ გვექნება კომბლები და გვეყოლება ლეგიონი, რომელიც თბილისის პატრულირებას მოახდენს“

გუშინ, 16 ივნისს, ვერის ბაღში ლევან ვასაძემ თანამოაზრეებთან შეხვედრა მოაწყო.

შეკრება ლოცვით დაიწყო, რომელიც სასულიერო პირმა წაიკითხა.

– ძალიან სჭირდებათ, რომ გარყვნილების საჯარო ზეიმი ჩატარდეს, რადგან მათ ძალიან კარგად იციან, რომ ეს არის საკრალური, ზებუნებრივი აქტი ერის ნამუსის ახდის, – განაცხადა ლევან ვასაძემ შეკრებაზე.

მისი თქმით, შეკრების მიზეზი სამშობლოსთვის არეულობის აცილებაა.

– ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ჩვენს სამშობლოს ავარიდოთ არეულობა, რომ ჩვენს ქვეყანაში იყოს სიმშვიდე, წესრიგი, სიყვარული და ზნეობა.

ჩვენ აქ არეულობისთვის არ მოვსულვართ. ჩვენი ერი, ქვეყანა დაიღალა გაუთავებელი არეულობით, წვალებით, ომებით. ჩვენი მიზანი არის ის, რომ ემოციების გარეშე, სახალხო ორგანიზების მეშვეობით ავარიდოთ ჩვენს თავს ის, რასაც გვახვევენ გარედან, რაც არის მიუღებელი ჩვენი ტრადიციისა და სამშობლოსთვის, – აღნიშნა ლევან ვასაძემ.

მისი აზრით, ვიღაცებს ძალიან სჭირდებათ, რომ გარყვნილების საჯარო ზეიმი ჩატარდეს, რადგან მათ ძალიან კარგად იციან, რომ ეს არის საკრალური, ზებუნებრივი აქტი ერის ნამუსის ახდის, რომ ეს არის ის რუბიკონი, რომლის იქითაც ზნეობრივ ადამიანს ეუფლება უკიდეგანო დაღონების განცდა, რომ მან ვერაფერი შეძლო და რომ ეს გარდაუვალია.

– ეს არ მოხდება საქართველოში, – განაცხადა ვასაძემ.

მან შეხვედრაზე სკანდალური ინფორმაცია გაასაჯაროვა.

– უშიშროების ოფიცრებმა შემატყობინეს, რომ დაგეგმილია კაცის მკვლელობა იქით მხარეს, ზვარაკად უნდათ, რომ შესწირონ რომელიმე უბედური, არასამთავრობოს წევრი ან მამათმავალი და ეს ჩვენ დაგვაბრალონ, – განაცხადა ლევან ვასაძემ.

მან თქვა, რომ დილით უშიშროების ოფიცრებმა შეატყობინეს, რომ გლობალისტები მუშაობენ იმაზე, რომ ისინი შეარცხვინონ და გამოაჩინონ გიჟებად, ფანატიკოსებად და ფაშისტებად.

– დაგეგმილია კაცის მკვლელობა იქით მხარეს. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ყველა, ვინც ამ უდიდეს ცოდვას ჩაიდენს, არის მტერი ჩვენი, საქართველოსი და ჩვენ მასთან არაფერი კავშირი არ გვაქვს. თუ მაინცდამაინც მათ უნდათ, რომ ეს მოხდეს, აქ ვარ რვა შვილის მამა. მე მესროლონ ის ტყვია და ნურავის იმ გარყვნილი ადამიანებიდან ნუ შესწირავენ ზვარაკად, – განაცხადა ლევან ვასაძემ.

მან ისაუბრა გეგმებზე და თქვა, რომ იქნება ლეგიონი და იქნება ქალაქის პატრულირება.

– თუ ეცდებიან რაიმე სახის დემონსტრაციის ჩატარებას, ნებისმიერ კორდონს, რომელსაც ჩვენი პოლიცია დაგვიყენებს, აუცილებლად გავარღვევთ. ჩვენ მათ შევუკრავთ ხელებს ქამრებით, რომლებიც თან გვექნება და მივაბრძანებთ იმ ადგილიდან, სადაც ისინი იქნებიან, – აღნიშნა ორატორმა.

მან თქვა, რომ მოხდება თვითორგანიზება სახალხო რაზმებად.

– ჩვენ გვეყოლება ათეულები. ეს შეიკრიბება ასეულებად ასისთავით, რომელიც შეიკრიბება ათასეულად და იქნება ლეგიონი. აქ შეკრებილებს შორის არის უამრავი სამხედრო გამოცდილების მქონე პირი, უამრავი სასახელო სპორტსმენი, მორაგბეები, მოჭიდავეები. შექმნილი ათეულები, შეკრულები ათასეულებად, ერთი კვირის განმავლობაში იმუშავებენ თბილისში, გაინაწილებენ ქალაქს და იქნება ქალაქის პატრულირება მშვიდად.

არავითარი იარაღი ჩვენ არ გვექნება, გარდა ერთისა – ეს იქნება იარაღი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ, თუკი პროპაგანდისტები გარყვნილებისა ეცდებიან რაიმე სახის დემონსტრაციის ჩატარებას, ნებისმიერ კორდონს, რომელსაც ჩვენი პოლიცია დაგვიყენებს და, იმედია, ეყოფათ ჭკუა, რომ ეს არ გააკეთონ, აუცილებლად გავარღვევთ.

რისთვის გავარღვევთ? რომ ქათმები ჩავქოლოთ ან ვიღაც ლესბოსელები, უსინდისო არასამთავრობოს ჭიჭყინა ბავშვები, რომლებიც ფულს აკეთებენ სამშობლოს გაყიდვაზე? არა. ჩვენ მათ შევუკრავთ ხელებს ქამრებით, რომლებიც თან გვექნება და მივაბრძანებთ იმ ადგილიდან, სადაც ისინი იქნებიან.

თუ ქალაჩუნა კაცი შეგაგინებთ, შეგაფურთხებთ, ნუ დაარტყამთ ხელს, ძალიან თუ გაგაბრაზათ, ყური აუწიეთ, – განაცხადა ვასაძემ.

მისი თქმით, სახალხო რაზმებს კომბლებიც ექნებათ და მათ მხოლოდ პოლიციის კორდონების გასარღვევად გამოიყენებენ.

მან პოლიციას მიმართა და გააფრთხილა:

– ღმერთი არ გაგიწყრეთ და ჩვენებს ცემა არ დაუწყოთ, თორემ მიიღებთ პასუხს!

საშა ტერნესი: „კარგი იქნება, თუ საქართველო სამრეწველო პოლიტიკას ჩამოაყალიბებს“

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მმართველი საბჭოს თავმჯდომარე საშა ტერნესის აზრით, საქართველოს მთავრობამ ძირითადი პრიორიტეტები და სტრატეგიული სექტორები უნდა განსაზღვროს.

ამის შესახებ მან bm.ge-ისთან ისაუბრა.

– ეს ის არის, რასაც მე უკვე ბევრი წლის განმავლობაში ვამბობ. კარგი იქნება, თუ ქვეყანა ჩამოაყალიბებს და იქონიებს სამრეწველო პოლიტიკას. ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ მრეწველობაზე უნდა იყოს მიმართული, არამედ ზოგადად იმ სექტორებზე, რომლებიც ეფექტიანი და მომგებიანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის... ვფიქრობთ, განსაკუთრებით პატარა ქვეყანამ უნდა იფიქროს და განსაზღვროს კონკრეტული ნიშები. მაგალითად, თუ მთავრობა, ისევე როგორც კერძო სექტორი, ჩამოყალიბდება კონკრეტულ 4-5 მიმართულებაზე და მთელ ძალებს მიმართავს ამ მიმართულებით, ეკონომიკური ზრდა დაჩქარდება. არ ვსაუბრობ მხოლოდ პოლიტიკურ მხარდაჭერაზე, არამედ თუნდაც როგორც აგრო სექტორშია კონკრეტული პროგრამები, რომლებიც ფინანსურ მხარდაჭერასაც გულისხმობს. მაგალითად, გერმანიაში ათწლეულების წინ დაიწყო ეს პროცესები და ახლაც კი ასეა, რომ ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებთ და კონცენტრირებული ვართ მხოლოდ რამდენიმე სექტორზე, ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესებზე, რომელიც მოწინავე და ძირითადი დამსაქმებელია ქვეყანაში. აუცილებლად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველო ძალიან დიდი ოდენობის პროდუქციის იმპორტს ახორციელებს უცხოეთიდან. ერთი მხრივ, მაგალითად ევროპული ქვეყნებისთვის ეს ძალიან კარგია, თუმცა, თუ საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ და შევხედავთ სავაჭრო ბალანსს, ვნახავთ დიდ დეფიციტს. აი, მაგალითად, თუ თქვენ აღარ განახორციელებთ საკვები პროდუქტების 70%-ის იმპორტს, წარმოიდგინეთ, 70%-ია იმპორტის მაჩვენებელი, გაიზრდება ადგილობრივი წარმოება. საქართველო ხომ ძალიან მდიდარი ქვეყანაა ამ თვალსაზრისით. თავის მხრივ, იმპორტის ჩანაცვლება დასაქმების მაჩვენებელს გაზრდის ქვეყანაში, – აცხადებს ტერნესი.

ამასთან, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე იმასაც უსვამს ხაზს, რომ მხარდამჭერი პროექტების განხორციელებისას მნიშვნელოვანია ეფექტიანობა.

– წინა ადმინისტრაციისგან (მთავრობისგან) განსხვავებით, ამ მთავრობის პირობებში ძალიან დიდი ოდენობის ინვესტიციები არის მიმართული სოფლის მეურნეობის სექტორში, მხარდაჭერის პროექტებისა და მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის სახით. აღნიშნული პროგრამები უკვე 7-8 წელია ხორციელდება, თუმცა მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ იმას, თუ რამდენად ეფექტიანი გამოდგა ეს პროგრამები. მაგალითად, თუ ვნახავთ სოფლის მეურნეობის წილს მთლიან შიდა პროდუქტში, ის არც ისე შეცვლილია, ასეა დასაქმების ნაწილშიც. საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს ღირებულებათა ჯაჭვი, ასევე პრობლემად რჩება სამეურნეო მიწების ფრაგმენტირების საკითხი. ადგილზეა სტრატეგიული და კონცეპტუალური პრობლემები, რომლებიც ხელშემწყობი პროგრამებით ვერ გადაიჭრება, – აღნიშნა მან.

bm.ge

ლევან კობერიძე: „ჩნდება ეჭვი, რომ შეიძლება თაღლითურ სქემას რომელიმე მაღალჩინოსანი მფარველობს“

დღგ-ს გადასახადების დაფარვის სქემა – ბოლო დღეებში ერთ-ერთი აქტუალური თემა, რომლის უკანაც კონკრეტული მაღალჩინოსნებისა და მათთან დაახლოებული გავლენიანი პირების ვინაობა სახელდება.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გამოავლინა დანაშაული, რომლის მიხედვით შექმნილმა ფიქტიური აქტივების ოდენობამ 30 მილიონი ლარი შეადგინა.

ამ ფაქტის დეტალებზე სასაუბროდ დამოუკიდებელი დეპუტატი ლევან კობერიძე ფინანსთა მინისტრის პარლამენტში დაბარებას მოითხოვს. უფრო კონკრეტულად კი სქემასთან დაკავშირებით გაჩენილ მოსაზრებებზე „კომერსანტთან“ საუბრობს.

კობერიძე ყურადღებას რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე ამახვილებს:

– პირველი – ის, რომ მხოლოდ 3 ადამიანის მიმართ სამართლებრივი დევნა გამოცხადდა (სამწუხაროდ, არ ვიცით ეს პირები საჯარო მოხელეები არიან, თუ კერძო კომპანიის წარმომადგენლები) მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მეტად საყურადღებოა ამ საკითხის პოლიტიკური ნაწილი. როდესაც საუბარია მსგავსი ტიპის დანაშაულზე, სისტემიდან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ შეიძლება თაღლითურ სქემას რომელიმე მაღალჩინოსანი მფარველობს, ან ხელს აფარებს, ან სულაც თვალს ხუჭავს. დღგ-ს ნაწილში ყალბი აქტივის შექმნა ასე ადვილი არ არის.

მეორე, რაზეც ლევან კობერიძე აქცენტს აკეთებს, ეს ყალბი ანგარიშფაქტურების შედეგებია:

– ქვეყანაში ასეთი ტიპის დანაშაული პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინააღმდეგ დანაშაულზე. ეს არ არის უბრალო ამბავი. ჰაერიდან შეიქმნა ფული, რაც იგივეა, ფული რომ დაგბეჭდოთ. ამიტომ, პირდაპირ ურტყამს ლარის კურსის სტაბილურობას და საინვესტიციო გარემოს სანდოობას. თუ ფინანსური სტრუქტურის წარმომადგენლები ვერ აკონტროლებენ მსგავსი ტიპის დარღვევებს, მაშინ საუბარი იმაზე, რომ გამართულად მუშაობს ფისკალური პოლიტიკა, არის ბოდვა“.

„კომერსანტის“ კითხვაზე, ყალბი ანგარიშფაქტურების გამოყენებით ბიუჯეტიდან მილიონობით თანხის გადინება, სავარაუდოდ, ემთხვევა ლარის რყევას, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ორ ფაქტს შორის არსებობს კავშირი, მით უფრო, რომ ეროვნული ვალუტის მკვეთრად გაუფასურების რეალური მიზეზი ამ დრომდე არ გამოკვეთილა? – კობერიძე განმარტავს, დაზუსტებით ამის თქმა, შეუძლებელია, თუმცა ვარაუდის დონეზე დასაშვებია.

„ნაკლები ინფორმაცია გვაქვს და ამიტომ გვჭირდება ყველა დეტალი ღიად მოგვაწოდოს შესაბამისმა უწყებებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გვექნება ლეგიტიმური უფლება ვივარაუდოთ, რომ ლარის კურსის რყევა ხელოვნურ დანაშაულებრივ პროცესთანაა დაკავშირებული. ამას გარდა, აღსანიშნავია „ოქროს სიის“ გაუქმებაც. ვემხრობი არგუმენტს, რომ ყველა წარმოება თანაბარ პირობებში უნდა ოპერირებდეს და მსგავსი სია არ არსებობდეს, მაგრამ იმდენად სწრაფად გაუქმდა, ესეც საეჭვოა. შესაძლოა ლარის კურსსა და ბიუჯეტს რომ პრობლემები შეექმნა, თანხების აკუმულირება ამ გზით გადაწყდა. ყველაფერი ეს თუ ერთმანეთთან ბმაში არ არის და უბრალო დამთხვევაა, მაშინ განიმარტოს. სხვა შემთხვევაში ეს ეჭვები აუცილებლად იქნება.

დამოუკიდებელ დეპუტატს საეჭვოდ მიაჩნია ეკონომიკური ზრდის პარამეტრიც და მისი სანდოობაც. კერძოდ, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში მცირდება, გამოცხადებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი (ბოლო თვეში 5 % შეადგინა) დამატებით კითხვებს ბადებს. ლევან კობერიძის თქმით, ახლა რთულია ციფრების გაყალბებაზე მტკიცებით ფორმაში საუბარი, თუმცა ფაქტია, ყველა აღნიშნული გარემოება ერთმანეთთან კავშირშია და ბუნდოვანს ხდის მთლიან მოცემულობას.

ზუსტად ამ ვითარების გამო, დამოუკიდებელი დეპუტატი ლევან კობერიძე ფინანსთა მინისტრისა და საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის პარლამენტში დაბარებას აუცილებლად მიიჩნევს. მეტიც, რადგან საკითხის პოლიტიკური ნაწილი ქვეყნის სწორი ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, კობერიძე გამოძიებიდან გარკვეული დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებას ითხოვს.

– ველოდები, რომ ფინანსთა მინისტრი გააკეთებს მკაფიო განცხადებას. თუ ეს ყველაფერი მის მიერ შიდა სტრუქტურაში წამოწყებული ნეპოტიზმთან და კორუფციასთან ბრძოლის შედეგია, მაშინ უნდა თქვას. ამ შემთხვევაში დიდი სიამოვნებით ყველა გვერდით დავუდგებით. მაგრამ თუ ეს არის დანაშაული, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდშია მომხდარი, მაშინ აუცილებლად უნდა დადგეს პასუხისმგებლობის საკითხი იმ მაღალჩინოსნების, ვისაც ეს თემა უშუალოდ ეხება. ასევე გასარკვევია, 30 მილიონი ლარის გადინება ერთჯერადად მოხდა, თუ თაღლითური სქემის მორიგი ეტაპია?! პირადად მე მიმაჩნია, რომ სადაც ამდენი თანხა გაქრა, მის უკან კიდევ ბევრია. ვიღაცამ კი ან თვალი დახუჭა ამ ყველაფერზე, ან ხელი დააფარა. ფაქტია, ეს საკითხი სცდება მხოლოდ ფინანსთა მინისტრის საქმიანობის კომპეტენციას და მისი პოლიტიკური ნაწილი ყველას გვეხება, – განმარტავს ლევან კობერიძე.

ლევან სილაგავა: „ხორბლის ადგილობრივი წარმოება საერთო მოხმარების 30%-მდე უნდა გაიზარდოს“

სასურსათო უსაფრთხოების კუთხით ქვეყანამ თავი დაცულად რომ იგრძნოს, პირველ რიგში, ხორბლის ადგილობრივი წარმოება საერთო მოხმარების 30 პროცენტამდე მაინც უნდა გაზარდოს, – ამის შესახებ საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, ლევან სილაგავამ, განაცხადა.

სილაგავა მიიჩნევს, რომ წარმოების გაზრდასთან ერთად, აუცილებელია ხორბლის რეგლამენტის შემუშავებაც, რაც დღეის მდგომარეობით ქვეყანას არ აქვს.

– ხორბლის ბაზარზე დღესდღეობით სტაბილური მდგომარეობაა. სამწუხაროდ, იმპორტზე ვართ დამოკიდებული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოხდეს დივერსიფიკაცია. ბოლო სამი წლის განმავლობაში იმპორტი ძირითადად რუსეთიდან შემოდის. ხორბლის ადგილობრივი წარმოება არის, თუმცა მცირე. პირველი, რაც სასურსათო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია, არის ის, რომ იყოს ადგილობრივი წარმოება. ჩვენ ვართ მცირემიწიანი ქვეყანა, თუმცა არსებობს ტექნოლოგიები და ცოდნა, რაც დაგვეხმარება ადგილობრივი წარმოების გაზრდაში. ბოლო წლებში დაახლოებით 100 ათას ჰექტარზეა დათესილი ხორბალი, თუმცა ჰექტარზე საშუალოდ ორ ტონა მოსავალს ვიღებთ, რაც უნდა ავიყვანოთ მსოფლიოში არსებულ საშუალო მაჩვენებელზე, რომელიც ჰექტარზე 4-5 ტონას შეადგენს. ამ შემთხვევაში, ხორბლის მოხმარებაში გვექნება ადგილობრივი წარმოების საკმარისი ოდენობა, დაახლოებით მოხმარების 30 პროცენტი. ეს საშუალებას მოგვცემს, თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ და გარდამავალი მარაგების მხრივ ადგილობრივ წარმოებაზე ვიყოთ დამოკიდებული. ეს არის უპირველესი ამოცანა და ეტაპობრივად კეთდება, – განმარტა სილაგავამ.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის მოსაზრებით, მეორე რიგის ამოცანაა ხორბლის იმპორტის დივერსიფიკაცია, რისი მიმართულებითაც ნაბიჯებს დგამს როგორც კერძო სექტორი, ისე მთავრობა.

– კერძო სექტორს მუდმივად პულსზე გვიჭირავს ხელი, თვალყურს ვადევნებთ, რომელ ქვეყანაში რა ფასებია. რაც შეეხება მთავრობას, ბოლო ინიციატივა იყო ყაზახეთის მიმართულებით გააქტიურება. ყაზახეთიდან ხორბლის იმპორტზე სატარიფო მდგენელი ტრასპორტირების ხარჯში არის 100 დოლარი. ეს ნიშნული დაახლოებით 20-25 დოლარით შემცირდება იმ ფაქტორიდან გამომდინარე, რომ ყაზახეთის მთავრობამ საქართველოსკენ მომავალი ხორბლის სუბსიდირება თავის თავზე აიღო, – განაცხადა სილაგავამ.

ლევან სილაგავას განმარტებით, ქვეყანაში ხორბლის ხარისხზე ტექნიკური რეგლამენტი არ არსებობს, ამიტომ წისქვილკომბინატები იმპორტირებული ხორბლის დაფქვის დროს ფქვილის ტექნიკურ რეგლამენტს იყენებენ. თუმცა, მისი აზრით, აუცილებელია, ხორბლის იმპორტი ადგილობრივი სტანდარტების მიხედვით განხორციელდეს.

– ზოგადად, ხარისხის მიმართულებით ჩვენი პოლიტიკა ასეთია: როცა წისქვილკომბინატები რუსულ, ყაზახურ თუ სხვა ქვეყნიდან შემოტანილ ხორბალს ამუშავებენ და ფქვილად გარდაქმნიან, ამისთვის ფქვილის ტექნიკურ რეგლამენტს იყენებენ. დღესდღეობით, ქვეყანაში ხორბლის ტექნიკური რეგლამენტი არ არსებობს. ხორბლის ტექნიკური რეგლამენტი არ არის მიბმული მხოლოდ ხორბლის ხარისხობრივ მაჩვენებლებთან, ის ითვალისწინებს როგორც ხარისხის, ასევე ტრანსპორტირების და ბაზარზე განთავსების მონაცემებს. შესაბამისად, რუსეთიდან, ყაზახეთიდან თუ სხვა ქვეყნებიდან წამოსული ხორბალი აუცილებელია, შემოვიდეს იმ სტანდარტით, რომელიც ადგილობრივ ქვეყანას აქვს, – განმარტა ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან სილაგავამ.

პირველი არხი

გიგლა მიქაუტაძე: „მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბიუჯეტში ფულის პრობლემაა“

„არგუმენტების სიჭრელე გვაფიქრებინებს, რომ ჯერ მიიღეს გადაწყვეტილება და შემდეგ დაიწყეს ფიქრი“ – რადიო კომერსანტზე გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ გადასახადის გადამხდელთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი, გიგლა მიქაუტაძე ფინანსთა სამინისტროს ახალ გადაწყვეტილებას აფასებს, რომელიც ე.წ. ოქროს სიაში შემავალი კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათების 30 დღიდან 5 დღემდე შემცირებას გულისხმობს.

– თავიდან ეს გადაწყვეტილება შეიფუთა, როგორც პრივილეგიების მოხსნა მსხვილი ბიზნესისთვის და საშუალო ბიზნესის წახალისება. თუმცა იმ 15-დღიანი შეღავათით ძალიან ბევრი სარგებლობდა, ეს იყო არა პრივილეგია, არამედ წახალისების მექანიზმი. მე ბევრი მსხვილი კომპანია ვიცი, რომლებიც არ იყვნენ „ოქროს სიაში“ იმ მიზეზით, რომ მათ ჰქონდათ დარღვევები. მთავრობა დღეს უარს ამბობს ამ წახალისების მექანიზმზე, ჩვენ არ მოგვისმენია ამ გადაწყვეტილების მიღების ოფიციალური დასაბუთება. ამიტომ 11-მა ორგანიზაციამ და ჩვენ, ოფიციალური წერილი მივწერეთ ფინანსთა მინისტრს, სადაც ვითხოვთ ასე ნაადრევად მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას.

მეორე მხრივ, თუ გათანაბრებაზე ვსაუბრობთ, მაშინ მცირე და საშუალო ბიზნესსაც აქვს თავისი პრივილეგიები საგადასახადო კოდექსში. ესეც ხომ არ მოვხსნათ? მაშინ გავაუქმოთ ყველაფერი?! პირადად, ჩემი ეკონომიკური კონცეფცია გულისხმობს პრივილეგიების არარსებობას, იმიტომ, რომ თავისუფალი ბაზარია და ვინც გადარჩება, გადარჩება. მაგრამ აქვს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა, მხარს უჭერს მცირე და საშუალო ბიზნესს, აქვს პროგრამები და ამ მსხვილ ბიზნესს, ეს ერთი მხარდაჭერა ჰქონდა და ისიც მოუხსნეს. არგუმენტების სიჭრელე გვაფიქრებინებს, რომ ჯერ მიიღეს გადაწყვეტილება და შემდეგ დაიწყეს ფიქრი.

ჯერ შინაარსი უნდა გავიგოთ, თუ შინაარსს დაგვაჯერებენ, მაშინ ხელებს ავწევთ და ვიტყვით, რომ თუ ქვეყნისთვის კარგია, მაშინ იყოს. მაგრამ თუ ცუდია, დღეს შევა თუ სამი თვის ვადაში, რა მნიშვნელობა აქვს, ცუდი ცუდია. ჯერ უნდა გაგვაგებინონ, რა არის მიზანი. მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფულის პრობლემა არის ბიუჯეტში, აბა ასეთი აჩქარებით რატომ გაიფუჭებდა ურთიერთობას მთავრობა მსხვილ ბიზნესთან, – ამბობს გიგლა მიქაუტაძე.

კომერსანტი

ანტალიაში 61 წლის ქეთევან ქათამაძე თოკით დაახრჩვეს

ანტალიაში ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში საქართველოს მოქალაქის ცხედარი აღმოაჩინეს.

მოკლული 61 წლის ქეთევან ქათამაძეა.

საცხოვრებელი სახლიდან არასასიამოვნო სუნი გამოდიოდა, რის გამოც მეზობლებმა შესაბამის სამსახურებს მიმართეს.

ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო სამსახურის ეკიპაჟები, რომლებიც საცხოვრებელ ბინაში ფანჯრიდან შევიდნენ, იქ კი ნახევრად შიშველი ქალის ცხედარი აღმოაჩინეს.

ადგილობრივი მედია იუწყება, რომ ქალი, სავარაუდოდ, თოკით დაახრჩვეს.

მოკლული ქალი ბოლო 20 წლის განმავლობაში ანტალიაში ცხოვრობდა და მუშაობდა. თურქეთში საქართველოს საკონსულო უკვე დაუკავშირდა გარდაცვლილის ოჯახს. მიმდინარეობს გამოძიება, ექსპერტიზის დასრულების შემდეგ კი მოკლულის ცხედარს სამშობლოში გადმოასვენებენ.

– დერეფანში არასასიამოვნო სუნი გამოვიდა. დღეს აივანზე შევიკრიბეთ ლანჩისთვის და საშინელი სუნი მოვიდა. მაშინვე პოლიცია გამოვიძახე. როდესაც სამართალდამცველები მოვიდნენ, მათ სახანძრო დეპარტამენტს სთხოვეს სახლში შესვლა. სახანძრო ბრიგადის დახმარებით, ისინი სახლში აივნიდან შევიდნენ. შიგნით კი ცხედარი იპოვეს, – ამბობს გარდაცვლილის მეზობელი.

21 წლის ახალგაზრდა ფეისბუქზე ყალბ გვერდებს ქმნიდა და მათ მეგობრებს „კრისტალბეთში“ ფულს არიცხვინებდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული გ.ი. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 2018 წლის დეკემბრიდან მიმდინარე წლის მაისის ჩათვლით, 20-მდე მომხმარებლის ყალბი ფეისბუქგვერდი შექმნა და მათ მეგობრებს, თაღლითური გზით, „კრისტალბეთის“ ანგარიშზე ფული ჩაარიცხვინა.

ბრალდებული, ჯამში, 8.000 ლარის ოდენობის თანხას მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მობილური ტელეფონი და პლასტიკური ბარათები ამოიღეს, რომელთა გამოყენებითაც გ.ი. სოციალურ ქსელში თანხის თაღლითურად მისაკუთრებას და შემდგომ მის განაღდებას ახერხებდა.

გამოძიება მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევი თაღლითობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ჩხუბი ტაეკვანდოს ჩემპიონატზე

დაკავებულია 3 მწვრთნელი

ფოთში საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვანდოში ჩხუბითა და სპორტსმენთა დაკავებებით დასრულდა.

დაკავებულია 3 მწვრთნელი. მათ წინააღმდეგ გამოძიება 126-ე, ძალადობის მუხლით არის დაწყებული.

კონფლიქტის მიზეზი კი ის დაპირისპირება გახდა, რომელიც წლებია ტაეკვანდოს ფედერაციაში შემავალ სუბიექტებსა და მის პრეზიდენტ სულხან ბაბუაძეს შორის მიმდინარეობს.

დაპირისპირებული მხარე მომხდარში ბაბუაძეს ადანაშაულებს და დარწმუნებულია, რომ მომხდარი სწორედ ბაბუაძის და მისი მომხრეების პროვოკაციის შედეგია.

– წამოვიდნენ პროვოკაციაზე, ადამიანები ვართ ხომ? შეხლა-შემოხლა მოხდა. იმ წუთას რა მოხდა, არ ვიცი. ფედერაციის პრეზიდენტი არის 7 წელია, 7 წლის განმავლობაში ამ ტაეკვანდოში არაფერი გაკეთებულა სიგლახის მეტი. ეს ხალხი ყველა განაწყენებულია, პირადულად კი არა, იმის გამო, რომ ფედერაციაში არაფერი გაკეთებულა, – ამბობს იმერეთის ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტი რომეო გურეშიძე.

6 წელზე მეტია, ტაეკვანდოს ფედერაციის დაპირისპირებულ მწვრთნელთა და სპორტსმენთა ნაწილი ბაბუაძის გადადგომას ითხოვს. ბოლო შეხვედრა ანალოგიური მოთხოვნით მათ სპორტის სამინისტროში, სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ირაკლი დოლაბერიძესთან ჰქონდათ.

სუსმა დააკავა მინადორა დ., რომელმაც თურქ ბიზნესმენს 6.000 ლარი გამოართვა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე მინადორა დ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ საქართველოში დარღვევით შემოიტანა სხვადასხვა სახის საქონელი, რის გამოც საქართველოს საბაჟო საზღვარზე დაიწყო კანონით გათვალისწინებული პროცედურები – ტვირთის დათვალიერება და თანმხლებ დოკუმენტაციასთან შედარება. აღნიშნულის შესახებ ცნობილი გახდა მინადორა დ-სთვის, რომელმაც განიზრახა მოტყუებით დაუფლებოდა თურქი ბიზნესმენის თანხას. ამ მიზნით დაუკავშირდა მას და არწმუნებდა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნებისთვის 13.000 ლარის გადახდის შემთხვევაში დააჩქარებდა საქონლის განბაჟებასთან დაკავშირებულ პროცედურებს და ტვირთის მესაკუთრისთვის დაბრუნებას.

მინადორა დ-მ დაითანხმა თურქი ბიზნესმენი და 2019 წლის 14 ივნისს წინასწარ გამოართვა თანხის ნაწილი – 6.000 ლარი, რა დროსაც ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს“, – წერია სუსის განცხადებაში.

წერეთლის გამზირზე 60 წლის მამაკაცს მეტადონი უპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1959 წელს დაბადებული პ.ა. თბილისში დააკავეს.

შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა პ.ა. გადამოწმების მიზნით თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე შეაჩერეს.

პოლიციამ მისი პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება მეტადონი ნივთმტკიცებად ამოიღო, აღნიშნული პირი კი დააკავა.

გამოძიება ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ჩადენილი დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„მე არ ვამტკიცებ, რომ ჩემი შვილი „ლურჯი ვეშაპის“ მსხვერპლია“

რას ყვება ინგა ბურდული

– დაკითხვაზე რომ ვიყავი, დავრწმუნდი და გამოვრიცხავ, რომ ეს იყო „ლურჯი ვეშაპი“. ბავშვი არის ეკლესიური, ეზიარება და გამორიცხულია, რომ რაღაც დაელია და თავი მოეკლა.

ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ 14 წლის მოზარდის დედამ, ინგა ბურდულმა, განუცხადა.

დედის თქმით, შვილმა პარასკევს ფსიქოლოგის დახმარება ითხოვა – დედიკო, დეპრესიაში ვარ და ფსიქოლოგის დახმარება მჭირდებაო.

ბურდულის თქმით, გოგონას დაჰპირდა, რომ ექიმთან წაიყვანდა.

– ბოლო დროს შეიცვალა, გარდატეხის ასაკს ვაბრალებდი. მე არ ვამტკიცებ, რომ ეს არის „ლურჯი ვეშაპის“ მსხვერპლი. ეს არის ძალიან უცნაური რაღაც და ძალიან მაინტერესებს. მე ვარ გამწარებული დედა, რომელსაც შვილი კომატოზოიდურ მდგომარეობაში ჰყავს. ექიმები ამბობენ, რომ მოწამლულია, იმასაც ვარაუდობდნენ, ანევრიზმა ხომ არ იყო. ესეც გამოირიცხა. ბავშვი სრულიად ჯანმრთელი იყო. დამპირდნენ, რომ გამოიძიებენ და ყველაფერს გააკეთებენ. არგაკეთებას არავის ვაპატიებ, – თქვა მოზარდის დედამ.

14 წლის გოგონა საავადმყოფოში 9 ივნისს შეიყვანეს. ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 14 წლის გოგონას საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მაშველებმა სვანეთში 1 ფრანგი და 3 გერმანელი ტურისტი გადაარჩინეს

მაშველებმა სვანეთში, ხალდეს მთაში, ტურისტები გადაარჩინეს.

აღნიშნულ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ მესტიაში, ხალდეს მთაში ერთი ფრანგი და სამი გერმანელი ტურისტი ითხოვდნენ დახმარებას. მაშველთა ჯგუფი 4-კაციანი შემადგენლობით დაუყოვნებლივ გავიდა შემთხვევის ადგილზე.

სოფელ ხალდეს მახლობლად მთაში ასული ტურისტები ჩამოსვლას ვეღარ ახერხებდნენ, რადგან ერთ მათგანს ფეხი ჰქონდა დაზიანებული. ფრანგ ტურისტს ადგილზე გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება, რის შემდეგაც საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას შესაბამისი მკურნალობა უტარდება. დანარჩენი ტურისტები შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებმა უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს, ისინი ახლა თავს კარგად გრძნობენ“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

მცხეთასთან ერთმანეთს 3 მანქანა შეეჯახა

1 ქალი დაშავდა

15 ივნისს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა მცხეთაში. ერთმანეთს 3 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, მსუბუქად დაშავდა 1 ქალი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

ქედაში 76 წლის გერმანელი ტურისტი დაიღუპა

ქედაში, სოფელ გობრონეთში, გერმანელი ტურისტი დაიღუპა.

76 წლის მამაკაცი ველოსიპედიდან გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

წნორში ინდოელების საწყობი დაიწვა

განადგურდა 30 ტონამდე მარცვლეული

გუშინ, 16 ივნისს, კახეთის რაიონის სოფელ წნორში ინდოელების საკუთრებაში არსებულ სასაწყობე მეურნეობას ცეცხლი გაუჩნდა.

შენობა სახელმწიფოს კუთვნილი ყოფილი წისქვილკომბინატია.

წინასწარი ინფორმაციით, განადგურდა 30 ტონამდე მარცვლეული. რა გახდა ხანძრის გამომწვევი მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია.

ადგილზე, სახანძრო სამაშველო ბრიგადებთან ერთად, მობილიზებული იყო პოლიცია.

ოლიგარქმა პლახოტნიუკმა მოლდოვა დატოვა

მოლდოვაში პროცესები სწრაფად ვითარდება. ორი მთავრობა უკვე აღარ არის. პავლე ფილიპის პროოლიგარქულმა კაბინეტმა გადადგომის შესახებ გამოაცხადა. ქვეყანა ასევე დატოვა ოლიგარქმა პლახოტნიუკმა. მოლდოვიდან გარბიან ბიზნესმენები, რომლებიც პლახოტნიუკთან იყვნენ დაკავშირებულნი.

მოლდოვის პრეზიდენტი პრორუსული ორიენტაციის დოდონია, რომელიც სოციალისტური პარტიის ლიდერი და მოლდოვის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეა. პრემიერის პოსტს კი პროდასავლელი მაია სანდუ ინარჩუნებს. აქამდე მისი მთავრობა სხდომებს პარლამენტის შენობაში ატარებდა. ახლა მან სხდომა უკვე მინისტრთა კაბინეტში გამართა. პარლამენტის სპიკერი ზინაიდა გრეჩანნაია სოციალისტი და რუსების თავგამოდებული მეგობარია.

– პლახოტნიუკის გაქცევის შემდეგ მოლდოვის წინაშე ახალი შესაძლებლობები გაიხსნა. იწყება რეალური რეფორმები და რეალური სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა. ეს კი რუსეთთან მეგობრობის გარეშე წარმოუდგენელია, – განაცხადა ჟურნალისტებს გრეჩანნაიამ.

პრეზიდენტმა დოდონმა ასევე შენიშნა, რომ მოლდოვაში რუსული კაპიტალის ფართომასშტაბიანი შემოსვლა იწყება, მოლდოვური საქონელი კი რუსულ ბაზარზე უფრო მეტი რაოდენობით შევა. რაც შეეხება დნესტრისპირეთს, ის მოლდოვის შემადგენლობაში დაბრუნდება.

– დნესტრისპირეთთან ფედერალური შეთანხმება დაიდება. ჩვენს რუს პარტნიორებს სურთ, რომ დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობას უფლება ჰქონდეს, ვეტო დაადოს კიშინიოვის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, თუ ის რეგიონის ინტერესებს ეწინააღმდეგება. შესაძლებელია, ეს არ მომწონდეს, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. სხვაგვარად დნესტრისპირეთი მოლდოვას არ დაუბრუნდება, – ამბობს დოდონი.

პრემიერი მაია სანდუ ასეთი ფედერალიზაციის წინააღმდეგია. მან დახმარებისთვის მეზობელ უკრაინას მიმართა. ამავე დროს, პუტინი ცდილობს დაარწმუნოს როგორც ევროპა, ასევე აშშ, რომ ფედერალიზაციის გარეშე დნესტრისპირეთის პრობლემა ვერ მოგვარდება.

– თუ მშვიდობა გვინდა, ფედერალიზაცია აუცილებელია! – ამბობს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტის პოზიცია ნათელია: დემოკრატიული, ნეიტრალური, ოლიგარქისგან თავისუფალი ფედერალური მოლდოვა. ამ ეტაპზე როგორც ევროპა, ასევე აშშ-ის გარკვეული ძალები ამას ეთანხმებიან.

– პრემიერ სანდუს უდიდესი მუშაობა მოუწევს საიმისოდ, რომ სიტუაცია შემოაბრუნოს. ფაქტია, რომ ეს რაუნდი პუტინმა მოლდაველებს სუფთაზე მოუგო, – აცხადებს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

მარინ ლე პენი: „ევროპას არც უკრაინა სჭირდება და არც საქართველო. ჩვენ რუსეთი გვინდა!“

ევროპარლამენტში შეიქმნა ახალი ფრაქცია „იდენტურობა და დემოკრატია“. მასში ნაციონალისტებმა და ევროსკეპტიკოსებმა მოიყარეს თავი. ფრაქციას ნაციონალ- რადიკალი მარინ ლე პენი ჩაუდგება სათავეში.

– ევროპამ თავისი ეროვნული ინტერესები უნდა დაიცვას, – განაცხადა ქალბატონმა.

მისი აზრით, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირში ბალასტს წარმოადგენენ. ამას გარდა, ისინი ამერიკის ნების უსიტყვო გამტარებლები არიან. თუ ევროკავშირში საქართველო და უკრაინა გაწევრიანდებიან, ამით პრო-ამერიკული ლობი გაძლიერდება.

– კეთილი ბიძიები არ არსებობენ. ამა თუ იმ ქვეყანას ტყუილუბრალოდ არავინ ეხმარება! საქართველოც და უკრაინაც ვაშინგტონს ანტირუსული ინტრიგებისთვის სჭირდება! – ამტკიცებს ლე პენი.

ფრანგი რადიკალების ლიდერი მიიჩნევს, რომ უკრაინა, თუ ის ევროკავშირში გაწევრიანდა, მხოლოდ აშშ-ის დასაყრდენი არ იქნება. ამ ქვეყანას უდიდესი პოტენციალი გააჩნია. დროთა განმავლობაში ის საფრანგეთს, გერმანიასა და სხვა ქვეყნებს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

რაც შეეხება საქართველოს, ის ასევე ვაშინგტონის ნების უსიტყვო გამტარებელი იქნება.

– ამიტომ ევროპას არც უკრაინა სჭირდება და არც საქართველო! ჩვენ რუსეთთან მეგობრობა, რუსულ ბაზარზე დაბრუნება გვაწყობს, რათა ამერიკელებს კონკურენცია გავუწიოთ და ჩვენი იდენტურობა შევინარჩუნოთ! – ამბობს ლე პენი.

ერდოღანი: „თურქეთისთვის ეს-400-ის მიწოდება ივლისში დაიწყება“

თურქეთის პრეზიდენტ რეჯებ თაიპ ერდოღანის განცხადებით, ანკარის მიერ შესყიდული საზენიტო რაკეტების სისტემის ეს-400-ის თურქეთისთვის მიწოდება ივლისიდან დაიწყება.

– რუსეთთან განვიხილეთ ეს-400-ის თემა. ეს უკვე დასრულებული საქმეა. რაიმე სახის პრობლემები არ ჩანს. ვფიქრობ, მიწოდება დაიწყება ივლისის პირველ ნახევარში, – განაცხადა ერდოღანმა.

თურქეთის ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანკარა არ აპირებს აღნიშნული სისტემის შესაძენ კონტრაქტზე უარის თქმას.

– ჩვენ დავსვით ჩვენი ხელმოწერა და დავასრულებთ დაწყებულს. რუსეთმა კრედიტი ისეთი პროცენტებით მოგვცა, როგორიც საერთაშორისო ბაზარზე არ არსებობს, – განაცხადა ერდოღანმა.

მისივე თქმით, თურქეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტრო ამერიკის თავდაცვის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის პატრიკ შანაჰანის წერილზე პასუხს ამზადებს, რომელიც უკავშირდება ვაშინგტონის გადაწყვეტილებას, თურქეთის მიერ ეს-400-ის შეძენის გამო შეაჩეროს თურქეთის მონაწილეობა პროგრამაში, რომლითაც თურქ მფრინავებს ეფ-35-ების მართვას ასწავლიან. პრეზიდენტის ინფორმაციით, ეს წერილი უახლოეს დღეებში გაეგზავნება ამერიკას.

საუდის არაბეთმა ირანი ომანის ყურეში ტანკერებზე თავდასხმაში დაადანაშაულა

საუდის არაბეთის პრინცმა მუჰამედ ბენ სალმანმა ირანი ომანის ყურეში ტანკერებზე თავდასხმაში დაადანაშაულა და საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა, დაიკავონ გადამწყვეტი პოზიცია.

– ირანის რეჟიმმა იაპონიის პრემიერ-მინისტრისადმი პატივისცემა არ გამოიჩინა და, ვიდრე ის ირანში იმყოფებოდა, თეირანმა მის ძალისხმევას ორ ტანკერზე თავდასხმით უპასუხა, რომელთა შორის ერთ-ერთი იაპონური იყო, – განაცხადა პრინცმა.

მუჰამედ ბენ სალმანმა დასძინა, რომ სამეფოს რეგიონში ომი არ სურს, მაგრამ ის უყოყმანოდ უპასუხებს მისი ხალხის, სუვერენიტეტისადმი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების წინააღმდეგ ნებისმიერ მუქარას.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა განაცხადა, რომ ნავთობის ტანკერებზე თავდასხმა დაუსჯელად არ დარჩება.

– ნავთობის ტანკერებზე თავდასხმა საერთაშორისო ტერორისტული აქტია! გაეროს ეგიდით გამოძიება უნდა ჩატარდეს, დამნაშავენი კი დაისაჯონ! – ამბობს გუტერეში.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ხელმძღვანელმა აბდულ ჰეიტმა განაცხადა, რომ ირანმა თავისი პოლიტიკა სასწრაფოდ უნდა შეცვალოს.

– ირანი ტერორიზმის სპონსორად და მფარველად გადაიქცა! თუ ასე გაგრძელდა, ეს მისთვის ძალზე ცუდად დამთავრება! – აცხადებს ჰეიტი.

13 ივნისს ომანის ყურეში ნავთობის ორ ტანკერზე თავდასხმა განხორციელდა, რასაც ტანკერებზე აფეთქება და ხანძარი მოჰყვა.

ხომალდების ეკიპაჟების ევაკუირება ირანის ტერიტორიასა და ამერიკულ რაკეტმზიდზე განხორციელდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ახალ ზელანდიაში 2 თვითმფრინავი ერთმანეთს დაფრენისას შეეჯახა

პილოტები დაიღუპნენ

ახალ ზელანდიაში ორი მცირემოტორიანი თვითმფრინავი აეროდრომზე დაფრენისას ერთმანეთს ჰაერში შეეჯახა, რის შედეგადაც ორივე თვითმფრინავის პილოტები დაიღუპნენ.

შეჯახებამდე ერთ-ერთ თვითმფრინავში მსხდომმა ოთხმა პარაშუტისტმა გადმოხტომა მოასწრო.

ინციდენტის არიდება შეძლო ვერტმფრენმაც, რომელიც იმ დროისთვის დასაფრენად ემზადებოდა.

თვითმფრინავების შეჯახება ქალაქ მასტერტონის აეროპორტში მოხდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგები. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატები. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საბურთალომ ბათუმელთა ნაგებით ისარგებლა და გალიდერდა

საბურთალო-სიონი 2:1

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ზარქუა (25სკ), 2:0 გორგიაშვილი (65), 2:1 კირკიტაძე (78)

საბურთალო: შელიხოვი, მარგველაშვილი, ნადარაია (მალი 60), ჩაბრაძე, ცნობილაძე, კაკუბავა, შინდაგორიძე, დიასამიძე (დვალიშვილი 63), გორგიაშვილი, კოხრეიძე (გრიგალაშვილი 73), როლოვიჩი

სიონი: ზარქუა, თომაშვილი, ტვილდიანი, აფაქიძე, სუხიაშვილი, ქიქავა, თარხნიშვილი, დ.კირკიტაძე, მანაგაძე (მესხი 55), სიხარულია (უგრეხელიძე 71), რაჟამაშვილი

საბურთალომ ბოლნისის სიონს უმასპინძლა. გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა გასულ ტურში დაკარგული ქულების შემდეგ ისევ 3 ქულა მოიპოვა. ჩემპიონები 25-ე წუთზე დაწინაურდა – ჯარიმიდან ბურთი კარისკენ გიორგი დიასამიძემ გაგზავნა, მრგვალი სფერო თითქოს თორნიკე ზარქუას ნადავლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საკუთარ კარში შეაგდო.

მეორე ბურთი მასპინძლებმა 65-ე წუთზე გაიტანეს – თავი თორნიკე გორგიაშვილმა გამოიჩინა. ბოლნისელებმა სხვაობა მინიმუმამდე 78-ე წუთზე დავით კირკიტაძის მიერ გატანილი გოლით შეამცირეს.

ამის შემდეგ ანგარიშში არაფერი შეცვლილა. ამრიგად სიონის მოუგებელი თამაშების სერია 5-მდე გაიზარდა, ხოლო 18 ტურის შემდეგ საბურთალომ 38 ქულით პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა.

ლოკომოტივი-დინამო (ბთ) 1:0

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 სიხარულიძე (89)

ლოკომოტივი: ბულისკერია, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, კომახიძე, უბილავა, სამურკასოვი, შონია, კობახიძე (შეყილაძე 78), ძებნიაური, დავითაშვილი, სიხარულიძე (ჯიქია 90)

დინამო: ალავიძე, ა.სანტოსი, ადამაძე, გაგოშიძე, ნავალოვსკი, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ჯანელიძე (თევდორაძე 69), რამოსი (რ.ჭანტურია 90), საბანაძე, ფლამარიონი (ილურიძე 80)

ეროვნულ ლიგაში ლოკომოტივის წაუგებელი სერია 6 მატჩამდე გაიზარდა. ლევან კორღალიძის შეგირდებმა გათამაშების ლიდერი ბათუმის დინამო დაამარცხეს და ცხრილში დააქვეითეს.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა რეალური საგოლე მომენტები გაცილებით მეტი მასპინძლებმა შექმნეს და ლოგიკურად იმსახურებდნენ კიდეც გამარჯვებას.

რამდენიმე მომენტში ძალიან მაღალ დონეზე ითამაშა ბათუმელთა მეკარემ, მაგრამ მიხეილ ალავიძის კარის აღება ირაკლი სიხარულიძემ მაინც მოახერხა. ეს მატჩის 88-ე წუთზე მოხდა, როდესაც ლოკოელთა შემტევმა და ბომბარდირმა დავით სამურკასოვის პასი გამოიყენა.

ტორპედო-ჩიხურა 5:3

წყალტუბო. 26 მაისი

1:0 ქიმაძე (2), 2:0 სარდალიშვილი (4სკ), კაშია (7სკ), 4:0 დოლიძე (18), 4:1, 4:2 მახარობლიძე (22, 61), 4:3 ჩიკვაიძე (64), 5:3 ტაბატაძე (85)

ტორპედო: ქვილითაია, ჭიჭინაძე, ხურცილავა, აზაცკი, გეგეჭკორი, მ.კობახიძე, გიგაური, ნ.ქავთარაძე, დოლიძე (ტაბატაძე 67), ქიმაძე (წიქარიძე 82), ზივზივაძე (თ.კაპანაძე 64)

ჩიხურა: ჰამზიჩი, მაისაშვილი (მარკოზაშვილი 55), კორიფაძე, ჩიკვაიძე, კაშია, მამასახლისი, მახარობლიძე, სარდალიშვილი, ჩიხლაძე, ფანცულაია (იონანიძე 62), დეკანოიძე

ქუთაისის ტორპედომ საჩხერის ჩიხურას წყალტუბოში უმასპინძლა და არასაფეხბურთო ანგარიშით 5:3 დაამარცხა.

კახა ჩხეტიანის გუნდს 18 წუთი დასჭირდა 4 გოლის გასატანად. ანგარიში მე-2 წუთზე გიორგი ქიმაძემ გახსნა, რომელსაც მე-4 წუთზე მიშიკო სარდალიშვილის ავტოგოლი მოჰყვა. მე-7 წუთზე ქიმაძემ დუბლი გაიფორმა, ხოლო მე-18 წუთზე ოთხამდე მასპინძელთა უპირატესობა გრიგოლ დოლიძემ გაზარდა.

ასეთი სტარტის შემდეგ შეხვედრაში სიტუაციის დაძაბვა მოსალოდნელი არ იყო, თუმცა საჩხერლებმა 3 ბურთის გატანა შეძლეს. 22-ე წუთზე ბიძინა მახარობლიძემ ერთი გაქვითა, მანვე გაიტანა მეორე გოლიც 61-ე წუთზე, ხოლო 3 წუთში ქუთაისელთა კარი ლაშა ჩიკვაიძემ აიღო.

სტუმრებს ქულების გადარჩენის შანსი გაუჩნდათ, მაგრამ ლაშა ტაბატაძემ მატჩის მიწურულს მე-5 გოლი გაიტანა ჩიხურას კარში და ქუთაისის ტორპედომ 3 ქულის მოპოვების საკითხიც გადაწყვიტა.

რუსთავი-დილა 2:1

რუსთავი. ტექნიკური ცენტრი

1:0 კიტეიშვილი (25), 2:0 ყიფიანი (41), 2:1 ნონიკაშვილი (77)

რუსთავი: კულუა, ც.კაპანაძე, ჯაფიაშვილი, ფონიავა, სილაგაძე (ჩოგაძე 72), გუჯაბიძე, კიტეიშვილი, ბუგულოვი, ციცქიშვილი, იმნაძე, ყიფიანი (ბ.ქავთარაძე 87)

დილა: ბეგაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, კერელეიშვილი (ლემპტი 57), ნონდი, კოუგბენია, ფორტესი, ნონიკაშვილი, გოშთელიანი (სპანდერაშვილი 65), პაიმი (კუცია 43)

რუსთავმა გორის დილა 2:1 დაამარცხა და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა.

მასპინძელთა პირველი გოლი შეხვედრის 25-ე წუთზე პაატა კიტეიშვილმა გაიტანა. ახალგაზრდა ნახევარმცველისთვის ეს გოლი ეროვნულ ლიგაში პირველია. კიტეიშვილმა აღნიშნულ მატჩში თავი საგოლე პასითაც გამოიჩინა, როდესაც 41-ე წუთზე მასპინძლებმა უპირატესობა ორამდე ნიკოლაი ყიფიანის გოლით გაზარდეს.

დილამ შეხვედრის მე-2 ნახევარში მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა მოახერხა – 77-ე წუთზე რუსთაველთა კარი ლევან ნონიკაშვილმა აიღო.

ამ დროისთვის რუსთავს 14 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-9 ადგილს იკავებს, გორის დილა კი 19 ქულით მე-8 პოზიციაზე რჩება.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	18	12	2	4	36-23	38
2.დინამო (ბთ)	18	12	1	5	31-18	37
3.ტორპედო	18	9	3	6	33-29	30
4.დინამო (თბ)	17	9	2	6	31-21	29
5.ლოკომოტივი	18	8	1	9	23-22	25
6.ჩიხურა	18	5	8	5	24-20	23
7.სიონი	18	6	4	8	23-40	22
8.დილა	18	5	4	9	19-22	19
9.რუსთავი	18	3	5	10	20-33	14
10.ვიტ ჯორჯია	17	4	2	11	10-22	8

შენიშვნა: ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 6 ქულა

ხელბურთელთა ნაკრები ფინალშია

საქართველო-დიდი ბრიტანეთი 28:21

თბილისი. სპორტის სასახლე

საქართველო: თევზაძე, ცინცაძე; ცხოვრებაძე (8), ჩიქოვანი (4), გოგოლაძე (4), ორჯონიკიძე (3), რუსტამოვი (3), კბილაშვილი (2), არსენაშვილი (2), დიხამინჯია (2), მერკვილაძე, კალანდაძე, იმნაძე

ბრიტანეთი: ინსოუ, მაკლელანდი; ედგარი (7), ნეგრეტე (4), და სილვა (3), პოლინი (2), ტაილერი (2), ვაიი (2), გრინი (1), მორლი ჰოვარდი, თომასი, პრაისი, ვენეიბლზი

საქართველოს ნაკრები ერთა ჩემპიონატის ფინალშია. გადამწყვეტი მატჩისთვის მიმავალ გზაზე ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა 28:21 მოუგო დიდ ბრიტანეთს და ფინალში კუბას ეთამაშება.

მეორე ნახევარფინალში კუბამ დამატებით დროში 39:36 მოუგო ბულგარეთს, რაც იმას ნიშნავს რომ ამ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა თავისი პირველი ამოცანა შეასრულა: მონაწილე 6 ევროპულ ქვეყანას შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა და ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპის, ფლეი ოფის საგზური მოიპოვა.

საქართველოს ნაკრებს ამ ტურნირზე ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ბრიტანეთმა გაუწია. მეტოქის მწვრთნელებს ჩვენი გუნდი კარგად ჰყავდათ შესწავლილი. ბრიტანეთმა თავიდანვე 5-1 დაცვის თამაში დაიწყო, თან ეს მცველი საკმაოდ მაღლა იყო აწეული, რაც, ნიშნავდა, რომ ბრიტანელებს ირაკლი ჩიქოვანის მაქსიმალურად შეზღუდვა ჰქონდათ მიზნად. მე-10 წუთზე ჩვენი მეტოქე 4:2 დაწინაურდა.

ანგარიში მალე გავათანაბრეთ და ტაიმი 13:10 მოვიგეთ, ამ ცამეტიდან კი 7 ბურთი გიორგი ცხოვრებაძეს ჰქონდა გატანილი. ბრძოლა მეორე ნახევარშიც გაგრძელდა, დასრულებამდე 15 წუთით ადრე სხვაობა 2 ბურთი იყო – 18:16.

ამ მომენტში ძალიან საჭირო გოლები გაიტანეს დიხამინჯიამ, რომლებიც მწვრთნელებმა ჩვეულ, მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე დააყენეს, რუსტამოვმა და არსენაშვილმა – 21:16 და ბრიტანეთი საბოლოოდ გატყდა. მატჩს წერტილი ჩიქოვანისა და ცხოვრებაძის გათამაშებულმა ლამაზმა კომბინაციამ დაუსვა 28:21.

ცხოვრებაძემ მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზი მიიღო.

გიორგი ცხოვრებაძე:

– ძალიან გამიხარდა, რომ მოვიგეთ, ვამაყობ ჩემი გუნდით. პირველი ტაიმი იყო დაძაბული, ბევრი შეცდომა დავუშვით. შესვენებაზე 3-ბურთიანი უპირატესობით გავედით, ხოლო მეორე ტაიმში უფრო მეტად მოვინდომეთ, რის შედეგადაც გავიმარჯვეთ. ფინალში მაქსიმუმს ჩავდებთ და ვეცდებით, გავიმარჯვოთ.

რიკარდო ვასკონსელოსი, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი:

– კმაყოფილი არ ვარ, რადგან ყოველთვის მეტი მინდა, მაგრამ, იმავდროულად, მეტოქის ძალასაც ობიექტურად ვაფასებ. საქართველომ ამ ტურნირის მოსაგებად ბევრი გაიღო და ვფიქრობ ამ შეხვედრაშიც ძლიერმა გაიმარჯვა. ჩვენ ყველა ასპექტზე გვაქვს სამუშაო და სწორედ ამიტომ ვართ აქ და გვიხარია რომ ასეთ მეტოქეებთან ასეთ გადამწყვეტ შეხვედრებს ვატარებთ. ეს ჩვენ უეჭველად წაგვწევს წინ. ხვალ, მესამე ადგილისთვის დიდი ბრძოლა გველის და გამარჯვებისთვის ყველა ღონეს ვიხმართ.

როგორც გითხარით, დამატებითი ტაიმი დასჭირდა კუბის ნაკრებს იმისთვის, რომ ბულგარელთა მებრძოლი გუნდი დაემარცხებინა. არადა, თავიდან კუბელები 9:2-ს იგებდნენ და ტაიმიც 20:14 გაიმარჯვეს. მეორე ტაიმში კუნძულელები მიღწეული უპირატესობის გამო ალბათ ცოტა მოეშვნენ, რის გამოც თამაში ფრედ, 32:32 დამთავრდა.

დამატებით დროში კუბამ ძალა მოიკრიბა და გაიმარჯვა – 39:36.

20 წლამდე ნაკრებმა შეკრება მარცხით დაიწყო

სლოვენიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა სლოვენიელ თანატოლებთან სპარინგ მატჩი გამართა და 7 ქულის სხვაობით – 64:71 დამარცხდა. მილოშ გრიგორიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა მასპინძლებს მე-3 და მე-4 მეოთხედები, შესაბამისად, 19:15 და 17:11 მოუგო, თუმცა პირველი ნახევარი ჰქონდა 17 ქულით წაგებული და...

თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა შედეგს ნაკლები მნიშვნელობა აქვს და მთავარი ახალი მწვრთნელისთვის დასახული გეგმების განხორციელება, გუნდის სათანადო კონდიციაში მოყვანაა. ამ მხრივ სლოვენიის 20-წლამდელთა ნაკრებთან მატჩს დადებითი შედეგი ჰქონდა.

საქართველომ მეტოქეს სიმაღლეში აჯობა და ფარიდან ასხლეტილი ბურთი სლოვენიელებზე 12-ით მეტჯერ მოხსნა. მასპინძლებმა ქართველებს შედეგიან გადაცემებში, საჯარიმო სროლებში და 3 სამქულიანით აჯობეს. ჩვენს ნაკრებში 10-ქულიანი ბარიერი ნიკა მეცხვარიშვილმა დაძლია, რომელმაც 13 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. რატი ანდრონიკაშვილმა 9 ქულა დააგროვა, ზაურ ჯანელიძემ კი შეხვედრა 7 ქულით დაასრულა.

შემდეგ სპარინგ მატჩს ქართველები სლოვენიის 18-წლამდელთა ნაკრებთან გამართავენ.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის (ბ დივიზიონი) ემზადება, რომელიც 12-21 ივლისს პორტუგალიის ქალაქ პორტოში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში 21 გუნდია, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. საქართველო 6-გუნდიან ც ჯგუფში მოხვდა შვედეთთან, ჰოლანდიასთან, ესტონეთთან, კოსოვოსა და სომხეთთან ერთად. თითო ჯგუფიდან ფლეი ოფში 2 საუკეთესო გადის და აგრძელებს ბრძოლას ტურნირის სამეულში მოსახვედრად.

გათამაშების ფორმატის თანახმად, ბ დივიზიონის საუკეთესო 3 გუნდი შემდეგი 2020-21 წლების სეზონისთვის ელიტურ ა დივიზიონში იასპარეზებს.

საქართველო ყატარის მუნდიალს მეხუთე კალათით ხვდება

მას შემდეგ, რაც ფიფამ განახლებული სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა, საბოლოოდ გაირკვა, თუ რომელ კალათაში იქნება განთესილი საქართველოს ნაკრები 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

ახალ რეიტინგს ჩვენი ნაკრების პოზიციაზე გავლენა არ მოუხდენია – ევრო 2020-ის შესარჩევი ციკლის ბოლო 2 მატჩის შედეგების შემდეგ ისევ 94-ე ადგილზე დავრჩით. შეგახსენებთ, რომ ვლადიმირ ვაისის გუნდმა შინ გიბრალტარი დაამარცხა (3:0), სტუმრად კი დანიასთან განადგურდა (1:5).

2022 წელს გასამართი მუნდიალის შესარჩევი ტურნირის წილისყრა ივლისში უნდა გაიმართოს, ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის და არც ის არის გამორიცხული, ვადამ გადაიწიოს, თუმცა ფიფას რეიტინგის ამჟამინდელი მდგომარეობით, ევროპის ზონის შესარჩევი ტურნირისთვის წილისყრის კალათები დადგენილია. საქართველოს ნაკრები კი მეხუთე კალათაშია.

მუნდიალის 13 საგზურისთვის ევროპის ზონიდან 55 ნაკრები იბრძოლებს და წილისყრის კალათები ფიფას ბოლო რეიტინგის მიხედვით დაკომპლექტდა.

ევროპული ნაკრებები 10 ჯგუფში განაწილდებიან. 5 ჯგუფი 6-გუნდიანი იქნება, კიდევ 5 – 5-გუნდიანი. ჯგუფების გამარჯვებულები (ჯამში 10) ყატარის საგზურს პირდაპირ მოიპოვებენ, ხოლო 10 მეორეადგილოსანი საგზურისთვის ბრძოლას მეორე რაუნდში გააგრძელებს.

ფორმატის თანახმად, რომელიც ჯერ საბოლოოდ უნდა დამტკიცდეს, მეორეადგილოსნებს 2020-21 წლების ერთა ლიგის 2 საუკეთესო გუნდი დაემატება, რომლებსაც სტანდარტული შესარჩევიდან საგზური არ ექნებათ მოპოვებული. ეს 12 ნაკრები კი 2-რაუნდიან ფლეი ოფში ყატარის 3 საგზურს გაითამაშებს.

კალათების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

1 კალათა: ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, პორტუგალია, ხორვატია, ესპანეთი, შვეიცარია, დანია, გერმანია, იტალია;

მე-2 კალათა: ჰოლანდია, შვედეთი, პოლონეთი, უელსი, უკრაინა, ავსტრია, რუმინეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, სლოვაკეთი, ირლანდია;

მე-3 კალათა: სერბეთი, ისლანდია, თურქეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ჩეხეთი, უნგრეთი, რუსეთი, შოტლანდია, ნორვეგია, საბერძნეთი;

მე-4 კალათა: ჩერნოგორია, ფინეთი, ბულგარეთი, სლოვენია, ალბანეთი, ჩრ.მაკედონია, ისრაელი, ბელარუსი, ლუქსემბურგი, კვიპროსი;

მე-5 კალათა: საქართველო, სომხეთი, ესტონეთი, ფარერები, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, კოსოვო, ლიტვა, ლატვია, ანდორა;

მე-6 კალათა: მოლდოვა, მალტა, ლიხტენშტეინი, გიბრალტარი, სან მარინო.

შედეგები

15 ივნისი

ფეხბურთი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ქალები

ჰოლანდია-კამერუნი 3:1

კანადა-ახ.ზელანდია 2:0

ეროპა ამერიკა

ვენესუელა-პერუ 0:0

არგენტინა-კოლუმბია 0:2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ფლეი ოფი

მალაგა-დეპორტივო 0:1

ნორვეგია. ლიტსერია

ჰაუგესუნდი-ბრანი 1:1

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

ომის ვეტერანი შეყვარებულს 75 წლის შემდეგ შეხვდა

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი თავის შეყვარებულს 75 წლის განშორების შემდეგ შეხვდა.

კ.ტ.რობინსმა 18 წლის ჟანინ განაი 1944 წელს საფრანგეთის კომუნა ბრიეში გაიცნო. აშშ-ის არმიის 24 წლის ჯარისკაცი გოგონას მშობლიურ სოფელში მეორე მსოფლიო ომის დროს გამოჩნდა. ის ეძებდა ისეთ ადამიანს, რომელიც მის ნივთებს გარეცხავდა და განაის დედა დათანხმდა.

რობინსსა და განაის შორის სწრაფად წარმოიშვა რომანტიკული ურთიერთობა, თუმცა ორი თვის შემდეგ ჯარისკაცი ფრონტზე გაგზავნეს. ყმაწვილს იმედი ჰქონდა, რომ ომის დასრულების შემდეგ შეყვარებულთან დაბრუნებას შეძლებდა, მაგრამ მათი შეხვედრა არ შედგა.

– როდესაც ის წავიდა, ბევრი ვიტირე, რა თქმა უნდა, გული ძალიან დამწყდა, – იხსენებს 92 წლის ფრანგი ქალბატონი, – მსურდა, რომ ომის დასრულების შემდეგ ის ამერიკაში არ დაბრუნებულიყო.

ომის დასრულების შემდეგ გოგონამ შეყვარებულის დაბრუნების მოლოდინში ინგლისურის სწავლა დაიწყო. რობინსი მაინც დაბრუნდა ამერიკაში, შემდეგ კი იქორწინა გოგონაზე, სახელად ლილიანზე და მასთან ქორწინებაში 70 წელი გაატარა. მისი მეუღლე 2015 წელს 92 წლის ასაკში გარდაიცვალა.

განაი სხვა მამაკაცს შეხვდა და 1949 წელს გათხოვდა. ის ხუთი შვილის დედა გახდა. რობინსი თავის პირველ შეყვარებულს არ ივიწყებდა და მის შავ-თეთრ ფოტოსურათს ინახავდა. 97 წლის ვეტერანი საფრანგეთში მოკავშირეთა ნორმანდიაში გადასხმის 75 წლისთავის აღსანიშნავად ჩავიდა.

მან ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ დიდი სიხარულით მოინახულებდა განაის სოფელსა და მის ოჯახს. მას ყოფილი შეყვარებულის მოძებნაში დაეხმარნენ. ის მათი პირველი შეხვედრის ადგილიდან 43 კილომეტრში მდებარე მოხუცებულთა სახლში აღმოჩნდა. რობინსი განაისთან მივიდა, მოეხვია და უთხრა: „მე ყოველთვის მიყვარდი. შენ ყოველთვის ჩემს გულში იყავი“.

წყვილმა რამდენიმე საათი გაატარა ერთად. შემდეგ რობინსი საზეიმო ცერემონიაზე გაემგზავრა. განაი და რობინსი ერთმანეთს შეჰპირდნენ, რომ ისევ შეხვდებიან.

ყმაწვილმა ყოფილ შეყვარებულს მისი საყვარელი კურდღელი დაუწვა

ინგლისის ჰარტფორდშირის საგრაფოს ქალაქ ლეტჩუერტში ახალგაზრდა მამაკაცი თავისი ყოფილი შეყვარებულის ბინაში შეიპარა და მისი საყვარელი შინაური ცხოველი მოკლა.

18 წლის ითან ენდრიუსი ლორენ რეინოლდს მას შემდეგ ემუქრებოდა, რაც წყვილი ერთმანეთს დაშორდა. გოგონას თქმით, ის გამუდმებით ურეკავდა და სმს-ს უგზავნიდა, რომლებშიც მასთან დაბრუნებაზე დაყოლიებას ცდილობდა და სიკვდილს უსურვებდა. გოგონა თავისი ყოფილი მეგობრის შეტყობინებებს არ პასუხობდა და მალე ისინი შეწყდა.

მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ენდრიუსი ღამით გოგონას ბინაში შეიპარა და მის საყვარელ კურდღელს, სახელად სპაისს, ცეცხლი წაუკიდა. იმ დროს მთელი ოჯახი სახლში იმყოფებოდა, რომლებიც ბინიდან მეხანძრეებმა გამოიყვანეს. ხანძრის შედეგად ოჯახის სხვა შინაური ცხოველებიც დაიღუპნენ. ძალიან დაზიანდა სახლის უკანა ნაწილიც.

პოლიციელებმა ხანძრიდან რამდენიმე საათის შემდეგ ახალგაზრდა მამაკაცი სათვალთვალო კამერების ჩანაწერის ნახვის შემდეგ დააკავეს. მის მანქანაში საწვავიანი ბიდონიც აღმოაჩინეს. სენტ-ოლბანის სასამართლომ ენდრიუსს 32 თვით პატიმრობა მიუსაჯა, ხოლო გოგონა დღემდე მომხდარის გამო შოკურ მდგომარეობაშია და ფსიქოთერაპიის კურსს გადის.

ოთხი წლის ბავშვმა თევზებზე მონადირე წყალქვეშა მონსტრი დაიჭირა

ინგლისის ლინკოლნშირის საგრაფოს ქალაქ სკანტროპში ოთხი წლის ბავშვმა მამასთან ერთად კაიმანური კუ დაიჭირა, რომელიც სამი წელი ადგილობრივ თევზებს ატერორებდა.

სამი წელი მეთევზეები თავს იმტვრევდნენ იმაზე, თუ რატომ ჰქონდათ ტბაში დაჭერილ თევზებს კუდები დაზიანებული. კონორ ბროკლსბი მამასთან ერთად სათევზაოდ გაემგზავრა სკანტროპის მახლობლად მდებარე მესტერსის ტბაზე. იქ მან ნაპირზე ხუთკილოგრამიანი კუ შენიშნა და მამას მისი დაჭერა სთხოვა.

სავარაუდოდ, კუ ვიღაცას შინაურ ცხოველად ჰყავდა, ხოლო ტბაში მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც ყოფილმა პატრონმა მისი თავიდან მოცილება მოისურვა. თევზის რეწვის დირექციის წარმომადგენელმა მარკ გრეგორმა განაცხადა, რომ ასეთ სახეობასთან პირველად აქვს შეხება. მისი თქმით, ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ყველაფერში დამნაშავე კუ იქნებოდა.

ზომბმა-გველმა ჩრდილოეთ კაროლინაში მღელვარება გამოიწვია

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის პარკებისა და დასასვენებელი ზონების დეპარტამენტმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ზომბი-გველის შესახებ დაწერა და ამით სოციალურ ქსელებსა და მედიაში ნამდვილი მღელვარება გამოიწვია.

დეპარტამენტის გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში აღმოსავლურ ფართოცხვირიან გველს ზომბი უწოდეს იმის გამო, რომ მას ჩვევად აქვს ზურგზე დაწოლა და თავის მომკვდარუნება. ეს ახალი ამბავი დაუყოვნებლივ აიტაცეს მედიაში და გავრცელეს ინფორმაცია, რომ ჩრდილოეთ კაროლინას ზომბი-გველების შემოსევა ემუქრება.

დეპარტამენტის წარმომადგენლები სასწრაფოდ შეეცადნენ, მოსახლეობა დაეწყნარებინათ.

– ჩვენ გვიყვარს ფართოცხვირიანი აღმოსავლური გველები, – განაცხადა დეპარტამენტის პრესმდივანმა კეტი ჰოლმა, – ისინი საკმაოდ დრამატულ წარმოდგენებს მართავენ, თუმცა ეს უფრო თავშესაქცევია და არა – სახიფათო.

ქალმა შვილის ხელზე შეწითლება შენიშნა და გადაარჩინა

კუნძულ ჯერსის მცხოვრებმა ქალმა თავისი რვა წლის ბავშვის ხელზე დროულად შენიშნა სეფსისის ნიშნები და დაღუპვას გადაარჩინა.

41 წლის ალექსანდრა რადი ისე შეაშფოთა შვილის, ევანის ხელზე შეწითლებულმა ადგილმა, რომ დაუყოვნებლივ მიმართა ექიმებს. მათ ბავშვი გასინჯეს და სეფსისი დაუდგინეს.

– სეფსისი არის სისხლის დასნებოვნება, – განმარტა ქალმა, – ასეთი დაავადების დროს ვერ დაჯდები და დაელოდები, თუ როდის ექნებათ ექიმებს მიღების დრო.

დედის წყალობით, რომელმაც დროულად შენიშნა სახიფათო შეწითლება, ბავშვის ანტიბიოტიკების საშუალებით განკურნება მოხერხდა. გაირკვა, რომ საავადმყოფოში მიყვანამდე ერთი კვირით ადრე ბავშვმა ხელი ზოოპარკში ყოფნის დროს დაიზიანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ექიმების გულგრილობას ბავშვი ემსხვერპლა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბოსტონში დასრულდა გამოძიება საქმეზე, რომელიც შეეხებოდა სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ მძიმე ფორმის მქონე ასთმიანი ბიჭის საავადმყოფოში გადაყვანაზე უარის თქმას.

საავადმყოფოში გადაყვანაზე უარის მიღების შემდეგ ბავშვს ასთმის განმეორებითი შეტევა დაეწყო, რის შედეგადაც ის დაიღუპა. კომისია, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა, მივიდა დასკვნამდე, რომ ბავშვის დაღუპვის მიზეზი ექიმების გულგრილობა გახდა. კომისიის აზრით, მათ ბავშვს არ აღმოუჩინეს აუცილებელი დახმარება, ასევე არ შეიტანეს განმეორებითი შედეგები, რომელიც სპეციალურმა მოწყობილობამ აჩვენა.

11 წლის ჯორჯ სმიტს დიდი ხნის განმავლობაში ლაბილური ბრონქული ასთმა ჰქონდა. 2017 წლის დეკემბერში მორიგი შეტევის დროს დედამისმა დაუყოვნებლივ გამოიძახა სასწრაფო და ბავშვს ინგალატორი მისცა.

გამოძახების ადგილზე მისულმა ექიმებმა ბავშვი გასინჯეს. ვინაიდან ის დაუხმარებლად ფეხზე დგომასა და მშვიდად ლაპარაკს ახერხებდა, დაასკვნეს, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობიდან გამოსვლის პიკური სისწრაფე ნორმაზე დაბალი იყო. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბიჭი საავადმყოფოში არ გადაეყვანათ.

რამდენიმე საათში ბავშვს განმეორებითი შეტევა დაეწყო, რასაც გონების დაკარგვა და გულის გაჩერება მოჰყვა. მამას რამდენიმეჯერ მოუხდა ბავშვის რეანიმირება სასწრაფოს მისვლამდე. ჯორჯი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სიტყვოხდი



1. მექანიკური საკრავი; 2. ცივი იარაღი (საჯიგველი); 3. ბატონო (ინგლისურად); 4. ჭურვის მოძრაობის შემსწავლელი მეცნიერება; 5. რვიანის ფორმის ნამცხვარი; 6. იაპონელთა ჯიბის კოლოფი; 7. საანგარიშო დაფა ძველად; 8. ჭადრაკის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში; 10. მტაცებელი ფრინველი; 11. მერყევი, არამდგრადი; 12. მსოფლიო მიზიდულობა; 13. ცეცხლის ანადენი; 14. აკადემიკოსი... ზავრიევი; 15. ცარიელი აკლდამა; 16. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 17. ნოტი; 18. რომის პაპთან არსებული ადმინისტრაციული ორგანო; 19. სიტყვაში ასოების გადასმა სხვა სიტყვის მისაღებად; 20. ძველებური ინგლისური ოქროს ფული; 21. სახელმწიფო აფრიკაში; 22. საზღვრისპირა სოფელი აჭარაში; 23. საფორტეპიანო ან სხვა კონცერტის ვირტუოზული ეპიზოდი, რომელსაც სოლისტი ორკესტრის გარეშე ასრულებს; 24. ბუნებრივი საღებავი; 25. სოფელი თელავის რაიონში; 26. მაუგლის მეგობარი გველი; 27. სახელმწიფოს ფულადი შემწეობა მოხუცებსა და ინვალიდებს; 28. უარყოფითი ნაწილაკი; 29. სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში; 30. დედმამიშვილი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბორტი; 2. კოპრა; 3. ჯინჯილა; 4. კები; 5. რიწა; 6. არაქისი; 9. ამპელოლოგია; 10. ამაშუკელი; 11. დირიჟაბლი; 14. გურჯი; 16. ჰაიტი; 18. რეტორტა; 20. რეცეპტი; 23. ლოტო; 24. მაზდა; 25. მატიე; 26. შინი.

თარაზულად: 7. პირომეტრი; 8. სპრინტერი; 12. დიუმა; 13. სირია; 15. იმედი; 17. რაიკონენი; 19. ეპოსი; 21. ატილა; 22. პლაცი; 27. სტრიპტიზი; 28. სტანდარტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოშეტი; 2. პიკეტი; 3. ვანდომი; 4. ღანძილი; 5. პლანიცა; 7. ვატმანი; 11. განდი; 12. ფიესტა; 13. ხინკალი; 14. შტოპორი; 15. ხორუმი; 17. არემჯი; 19. ქისი.

თარაზულად: 5. პაროდია; 6. ფალანგა; 8. ტატა; 9. გორდი; 10. ივლისი; 11. გალო; 13. ხოდაბუნი; 14. შონია; 16. ზაქსი; 18. კაკაო; 20. რაფსოდი; 21. მარჯანი.

ᲐᲡᲢᲠᲝᲖᲘᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ 17 ივნისისთვის

ᲪᲕᲘᲠᲫᲘ – თუ სიტუაციას დროულად გააანალიზებთ და მოვლენებს ალღოს აუღებთ, რთული სიტუაციიდან გამოსავალს მალე იპოვით. დროა, მოქმედების ტაქტიკა შეცვალოთ. **ᲯᲣᲠᲝ** – ახლობელმა შესაძლოა მცდარი რჩევა მოგცეთ. იმედი გიცრუვდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მოიწესრიგეთ ძილი. **ᲒᲣᲚᲘᲡᲔᲑᲘ** – პროფესიონალურ სფეროში წარმატება გელით. შესაძლოა ხელსაყრელი საქმიანი წინადადება შემოგთავაზონ. ბიზნესში გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ. **ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ** – არაკეთილისმყოფელი დღეა. ბევრ შეცდომას უშვებთ. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყვნენ სუსტი ნერვული სისტემის მქონენი. **ᲚᲝᲛᲘ** – ფინანსური კუთხით პრობლემებს ელოდეთ. სერიოზული დაბრკოლება გელით ასევე ჩინოვნიკების მხრიდან. **ᲥᲐᲚᲬᲚᲘ** – შემოსავალ-გასავალი ყურადღებით აკონტროლეთ. სხვისი შეცდომების გამო შესაძლოა დაბრკოლებებს წააწყდეთ. **ᲡᲐᲡᲬᲠᲘ** – აქტიური მოქმედებები დღეს დაუშვებელია. სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დიდი მოთმინება გმართებთ. **ᲦᲠᲘᲐᲜᲥᲐᲚᲘ** – სასიცოცხლო ენერგია ძლიერდება. ეს დღე ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ. ზომიერების გრძნობა შეინარჩუნეთ. **ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ** – იღბლიანი დღეა ფულის დასაგროვებლად, ადრე დაწყებული საქმეების დასამთავრებლად, ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. **ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲫᲐ** – ნებისმიერ სიტუაციაში მაქსიმალური თავშეკავება გმართებთ. თქვენი უკიდეგანო პატივმოყვარეობა პრობლემებს შეგიქმნით. **ᲛᲔᲠᲒᲔᲣᲚᲘ** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. ახლობელი ადამიანი იმედს გაგიცრუებთ. თავი გააკონტროლეთ და ემოციები მოთოკეთ. **ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ** – ჰარმონიული დღეა, რომელიც მოგიტანთ სულიერ სიმშვიდესა და წონასწორობას. ოჯახის წევრების მიმართ მეტი გულისხმიერება გმართებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ანუკი არეშიძემ და კახა კალაძემ ჯვარი დაიწერეს

დიზაინერმა ანუკი არეშიძემ და თბილისის მერმა კახა კალაძემ ჯვარი დაიწერეს. მათი ბედნიერება უახლოესმა ადამიანებმა გაიზიარეს.

ანუკის ულამაზესი თეთრი კაბა ეცვა და 4 შვილის – ლევანის, კახის, ვაჩესა და ნიკოლას ფონზე იდეალურად გამოიყურებოდა. წყვილის ჯვრისწერა საქორწილო სუფრით დაგვირგვინდა, სადაც უამრავი ცნობილი სახე იყო მიწვეული.

ანუკი არეშიძესა და კახა კალაძეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შვილები მოუნათლა.

ქართველი ილუზიონისტი გეკა ჯაფარიძე ბრიტანულ „ნიჭიერშია“ მიწვეული

ქართველი ილუზიონისტი გეკა ჯაფარიძე წლებია, საბერძნეთში ცხოვრობს, ამიტომაც მას საბერძნეთში კარგად იცნობენ, საქართველოში კი მის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცის.

გეკა დიდი ბრიტანეთის „ნიჭიერშია“ მიწვეული, თუმცა მანამდე ფოკუსები რეჟისორ მამუკა ლომაშვილს ჩაუტარა. მამუკამ ერთ-ერთი ფოკუსის ვიდეო ინტერნეტში გაავრცელა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა:

– საბერძნეთში მოღვაწე ქართველი ილუზიონისტი, რომელიც დიდი ბრიტანეთის „ნიჭიერშია“ მიწვეული.

გამოვიჭირეთ და სიგიჟეები ჩაგვიტარა.

„მასტერშეფი“ სოფო ხალვაშმა დატოვა

კულინარიული გადაცემა „მასტერშეფი“ მომღერალმა სოფო ხალვაშმა დატოვა, რომელიც საუკეთესო ათეულში მოხვდა და გამარჯვებისთვის იბრძოდა.

ჟიურიმ ლევან კობიაშვილის, ლუკა ნაჭყებიასა და კონსტანტინე თედელურის შემადგენლობით ყველაზე ცუდი სამი კერძი დაასახელა და მათ ავტორებს ის მნიშვნელოვანი შენიშვნები მისცა, რომლებიც მომავალში აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ყველაზე ცუდი კერძები გაიკეთეს ვლადიმერ სოკოლოვმა, თათია თექთურმანიძემ და სოფო ხალვაშმა. საბოლოოდ კი პროექტი სოფო ხალვაშს დაატოვებინეს.

ნიუ იორკში უზარმაზარ კედელზე გურული მშვიდობაძე მოხატეს

ნიუ იორკში, ჰადსონის ქუჩაზე, უზარმაზარი კედელი მოხატეს, სადაც გურული მშვიდობაძეც მოხვდა.

კედლის მხატვრობა მიეძღვნათ იმ იმიგრანტებს, რომლებიც კუნძულ ელისის პირველი ბინადრები გახდნენ.

ინფორმაცია ამის შესახებ ირაკლი მახარაძემ გაავრცელა:

– ნიუ იორკში, ჰადსონის ქუჩაზე, რომელიც კლარკსონსა და ვესტ ჰიუსტონს შორის მდებარეობს, მოხატეს უზარმაზარი კედელი, სადაც გამოსახულია ელისის კუნძულზე ჩასული იმიგრანტების პორტრეტები. მათ შორისაა გურული მშვიდობაძე.

ნიკა ქავთარაძე: „ასე ერთად გადარეული და დაძაბული ხალხი აქამდე არასდროს მინახავს!“

აცხადებს იუმორისტი ნიკა ქავთარაძე და ადამიანების მიერ ერთმანეთის ლანძღვით გაკვირვებულია:

– გავგიჟდი!

აი, ყველა ყველას ლანძღავს – ღიად, დაფარულად, ჯგუფებში, ჩატებში.

ადამიანი ვერ ვნახე, ვინც ცოტა მაინც კარგ ხასიათზეა.

გინდა ბიძინას დააბრალეთ, გინდა მიშას, გინდა ეკონომიკურ მდგომარეობას, გინდა ნაადრევ სიცხეებს – მე ასე ერთად გადარეული და დაძაბული ხალხი აქამდე არასდროს მინახავს.

ე ბიჭო, ჰეეე, რამ გადაგვრია, რამ?

გიორგი პაპკიაურის ერთი შემოხედვა 200 ლარი ღირს

მომღერლისა და მხატვრის გიორგი პაპკიაურის ერთი შემოხედვა 200 ლარი ღირს.

ტარიფი საკუთარ გამოხედვას ხელოვანმა თავად დაადო:

– სახლი მომინდება და მეორე დღეს იყიდება, ქალი მომეწონება და თხოვდება, მანქანა მომეწონება და სხვა ყიდულობს, ფული დამჭირდება და სხვა მდიდრდება, სიკეთეს ვაკეთებ და სხვას უხდიან მადლობას, ტაში მე მეკუთვნის და სხვას ადიდებენ, მე ვლოცულობ და სხვა ბედნიერდება!

კაი რა, კაი, ამის დედაც ვატირე! დღეიდან ჩემი ერთი შემოხედვა 200 ლ, თვალის ჩაპაჭუნება 300, გაღიმება 1000, სიტყვა 10000, შეხება 100000 და დანარჩენს ვერ შესწვდებით ვახ!

პ.ს. ნისია სხვისია!

თბილისის მერიამ ჰიპოპოტამ „ბეგის“ ქანდაკების ესკიზები წარადგინა

თბილისის მერიამ 13 ივნისის ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით „მზიურში“ ჰიპოპოტამ „ბეგის“ ქანდაკების ესკიზები წარადგინა.

მერიამ ჰიპოპოტამის ქანდაკების ესკიზების შერჩევის მიზნით კონკურსი 3 აპრილს გამოაცხადა, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

კონკურსში სულ 14 პროექტია წარმოდგენილი. გამარჯვებულს თბილისის მერიის მიერ სპეციალურად შერჩეული კომისია გამოავლენს და მისი ქანდაკება გმირთა მოედანზე, ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება.

ქუთაისში ილია ჭავჭავაძის ბარელიეფი ნადგურდება

ქუთაისში განთავსებული ილია ჭავჭავაძის ბარელიეფი ნადგურდება.

ინფორმაცია და ფოტო ამის შესახებ ჯაბა ვაშაყმაძემ ინტერნეტში გაავრცელა:

– უყვართ საქართველოში ილია, განსაკუთრებით ქუთაისში...

რამდენჯერ ჩაუარეთ გვერდი, ქოცებო, კიდევ რამდენჯერ ჩაუვლით?!

ნაციონალური პარტიის მმართველობის დროს ეს ძეგლი გაქურდეს, მწერლის პროფილი მოიპარეს (ბრინჯაო), ერთ კვირაში აღადგინა ჩემმა ნაცნობმა მოქანდაკემ.

ახლა ის მოქანდაკე გადახვეწილია ქვეყნიდან ლუკმაპურის საშოვნელად...

ქუთაისის მერს რა უნდა უთხრა, ეგ მკვდარსა და ცოცხალს ვერ არჩევს ერთმანეთისაგან და ამ ძეგლზე იტყვის რამეს?

და ათასჯერ მაინც ექნება გვერდი ჩავლილი.
დღესაც ჩაუვლის,
ხვალაც,
ზეგაც,
და იაროს, იაროს, იაროს,
ამინ!

თიკო ნატროშვილმა ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს სასამართლო დავა მოუგო

მოდელმა თიკო ნატროშვილმა ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს თავისი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შესახებ სასამართლო დავა მოუგო.

თიკო ნატროშვილი:

– თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება ბათილად ცნო.

„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ და მოპასუხე მხარის გ.გაბელაიას გადაწყვეტილება – შტატიანი თანამშრომლის 1-თვიან ხელშეკრულებაზე გადაყვანის შესახებ არაადეკვატურად მიიჩნია.

განაჩენის საფუძველზე მივიღებ 6 თვის განაცდურის ანაზღაურებას კომპენსაციის სახით.

მიუხედავად ამისა, დარჩა ბევრი კითხვა უპასუხოდ,?ამიტომ გაგრძელება იქნება. 2 წელი და 3 თვეა, რაც ეს საქმე გრძელდება, მაგრამ სიმართლისთვის ბრძოლა არასდროს დამეზარება!

„შინდისის გმირებს“ შანხაიში აჩვენებენ

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის – შინდისის გმირების შესახებ რეჟისორ დიტო ცინცაძის მიერ გადაღებულ ფილმს შანხაიში აჩვენებენ.

ინფორმაცია ამის შესახებ ფილმის იდეის ავტორმა და პროდიუსერმა ედმონდ აბაშიძე-მინაშვილმა გაავრცელა:

– სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შინდისი“ ნაჩვენები იქნება სამშაბათს, 18 ივნისს, შანხაიში ბაზრის, სკრინინგისა და შეხვედრების პროგრამაში, სადაც შერჩეულია სულ შვიდი ფილმი, ერთ-ერთი კი ჩვენ ვართ...

ეს იქნება დახურული ჩვენება მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებისა და დისტრიბუტორი კომპანიებისთვის...

შერჩეული ფილმები კი წარმოდგენილია შემდეგი ქვეყნებიდან: საქართველო, ისრაელი, ეგვიპტე, რუსეთი, ლატვია, პოლონეთი, ესტონეთი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

სამმეტრიან კაციჭამია ნიანგზე შური იძიეს

კუნძულ კოლომბანგრაზე (სოლომონის კუნძულები) დაიჭირეს და მოკლეს სამი მეტრი სიგრძის ნიანგი, რომელმაც ადგილობრივ მცხოვრები შეჭამა.

ივნისის დასაწყისში სოფელ კაზაში, სადაც დაღუპული ცხოვრობდა, პოლიციის სპეციალური რაზმი მიავლინეს. მათ ორი ნიანგის მოკვლა მოახერხეს, თუმცა ადამიანის დაღუპვასთან კავშირში არც ერთი არ აღმოჩნდა.

მესამე მტაცებელი რეპტილია სოფლის მცხოვრებლებმა დანებითა და შუბებით მოკლეს, როდესაც ის ხაფანგში გაება. გაკვეთის შემდეგ მის მუცელში ადამიანის ხელი და სხეულის სხვა ნაწილები იპოვეს.

ალასკის სანაპიროზე უამრავი მკვდარი სელაპი გამოირიყა

ჩუკოტკისა და ბერინგის ზღვების ამერიკის სანაპიროზე 60-მდე მკვდარი სელაპი აღმოაჩინეს.

აშშ-ის ოკეანეებისა და ატმოსფეროს კვლევების ეროვნულ სამმართველოში დიდი რაოდენობით მკვდარი სელაპების აღმოჩენის თაობაზე ინფორმაციას კვირის დასაწყისიდან იღებენ.

სპეციალისტებმა მომხდარის გამოძიება დაიწყეს. მიმდინარეობს ნაპოვნი ცხოველების ფოტოგრაფირება და გამოსაკვლევად მათი გაკვეთა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მკვდარ სელაპს ბეწვი არ აქვს. ჯერჯერობით დაუდგენელია, ეს რაიმე ანომალიის შედეგია თუ ხრწნის დაწყების.

დათვი მანქანაში ჩაძინებულ მამაკაცს თავს დაესხა

ამერიკის ალასკას შტატის დასახლება ნაკნეკში მამაკაცს თავს დათვი დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი რადიოსადგური ავრცელებს.

დაზარალებული ამტკიცებს, რომ ცხოველი მის მანქანიდან გადათრევას ცდილობდა, როდესაც მას კარი ღია ჰქონდა და უკანა სავარძელზე ეძინა. მან მტაცებლის შემოტევის მოგერიება შეძლო და სამაშველო სამსახური გამოიძახა.

დათვის თავდასხმის შედეგად მამაკაცმა ფეხის ტერფის ტრავმა მიიღო. მას პირველადი სამედიცინო დახმარება შემოხვევის ადგილზევე აღმოუჩინეს, შემდეგ კი შვეულმფრენით ქალაქ ანკორიჯის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

17 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.7468

ევრო — 3.0943

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4753

100 რუსული რუბლი — 4.2700

ამინდის პროგნოზი 17 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რა არის კაქტუსი?

– კაქტუსი ცხოვრებაზე გულგატეხილი კიტრია.

•••

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის დროს გამომცდელი აბიტურიენტს ეკითხება:

– და ბოლოს, თუ შეიძლება, მიპასუხეთ, რატომ გადაწყვიტეთ ჩვენს უნივერსიტეტში ჩაბარება?

– მამა, გეყოფა სულელური კითხვების დასმა...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რა აზრის ხარ ვეგეტარიანელობაზე?

– შენ თუ გსმენია ოდესმე: უჭკუო ლომი, სულელი ლეოპარდი, შტერი გეპარდი?

– არა.

– და ძროხასა და ცხვარზე?

– კი.

– ჰოდა, საქმეც მაგაშია!

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– საკმარისია, ჩემთან მამაკაცმა ღამე გაათიოს, რომ მთელმა სამეზობლომ იცის, ხოლო ბინა რომ გამიქურდეს, მაშინ ყველას მკვდარივით ეძინა.

•••

გოგონას ეუბნებიან:

– როგორც წესი, ლამაზ გოგონას დაქალი სულელი ჰყავს.

– რა სისულელეა, ჩემი დაქალი ულამაზესია.

– აი, ხედავ, სულაც არ ყოფილა სისულელე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პუტკუნა ქალებმა ავტობუსი დაიქირავეს და ქალაქში ნახევრად შიშვლებმა გაისეირნეს

მხოლოდ საცვლებში გამოწყობილმა პუტკუნა ქალებმა ლონდონის ქუჩებში ორსართულიანი ავტობუსის მეორე სართულზე თავმოყრილებმა გაისეირნეს. ამის თაობაზე ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ისაუბრა ჟურნალისტმა და ბლოგერმა ემილი კლარკსონმა, რომელიც აღნიშნულ აქციაში თავადაც მონაწილეობდა.

კლარკსონის თქმით, მან ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმიტომ გადაწყვიტა, რომ საკუთარი მხარდაჭერა გამოეხატა მთელი მსოფლიოს ტანსრული ქალებისთვის და ასევე ეზეიმა ასეთი ქალებისთვის საცვლების მწარმოებელი ბრენდის Curvy Kate-ს დაარსების ათი წლისთავი.

– ამჟამად უკვე მრავალი ბრენდი აღიარებს, რომ ნებისმიერი ფორმის სხეული შეიძლება გამოიყურებოდეს ლამაზად და ყურადღებას იმსახურებს! დღეს ხალხს ბევრი ლამაზი სხეული ვაჩვენეთ. ჩვენ ვცეკვავდით, ვიცინოდით და ვბრწყინავდით, გამვლელები კი ჩერდებოდნენ, გვიყურებდნენ და გვესალმებოდნენ, – დაწერა კლარკსონმა საკუთარ გვერდზე და იქვე დაამატა, რომ ეს ყოველივე შესანიშნავი იყო.

ჟურნალისტისა და ბლოგერის გარდა, აღნიშნულ აქციაში კიდევ რამდენიმე გოგონა მონაწილეობდა და ყველა მათგანს Curvy Kate-ს საცვლები ეცვა.

მეგან მარკლის ბავშვის ძიძა გააჩუმეს

სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლმა და მისმა მეუღლემ პრინცმა ჰარიმ თავიანთი ბავშვის ძიძას ურჩიეს, რომ რაიმე სახის ინფორმაციის გავრცელებისგან თავი შეიკავოს.

სამეფო სახლზე წიგნის ავტორი კეტი ნიკოლი ამტკიცებს, რომ ძიძას მოუწია, ხელი მოეწერა შეთანხმებაზე, რომელიც რაიმე სახის ინფორმაციის გაუთქმელობას ითვალისწინებს. ამავე დროს, ის გაათავისუფლეს ღამის საათებში გამოძახებაზე მისვლის ვალდებულებისგან. ეს იმის გამოა, რომ ღამის საათებში მეგანი თავად აქცევს ყურადღებას ბავშვს და რამდენიმე საათში ერთხელ კვებავს.

ნიკოლის თქმით, სასექსის ჰერცოგინია არ ჩქარობს საკუთარი თავის მოწესრიგებას და ჯერჯერობით ფორმაში შესასვლელად სპორტულ დარბაზში არ დადის. შეგახსენებთ, რომ სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლსა და პრინც ჰარის 6 მაისს პირველი ბავშვი შეეძინათ, რომელსაც არჩი ჰარისონ მაუნტბატენ-უინძორი დაარქვეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გარყვნილი მამაკაცი ქალებს ტუალეტში უთვალთვალებდა

მალაიზიაში პოლიცია ეძებს მამაკაცს, რომელიც ტუალეტში ქალებს ფოტოსურათებს უღებდა.

ხუთშაბათს, 13 ივნისს, პოლიციაში უცნობ მამაკაცზე 34 წლის ქალის საჩივარი შევიდა, რომლის ვინაობა არ სახელდება. მისი ჩვენების თანახმად, ის ბატუ ტიგის გარეუბანში მდებარე ავტოგასამართი სადგურის ტუალეტში შევიდა და კარს უკან რაღაც ჩრდილი შენიშნა. შემდეგ კი ვიღაც შეეცადა, ტუალეტის კაბინის ქვეშ მობილური ტელეფონი შეეყო.

პოლიციამ სათვალთვალო კამერების ჩანაწერი შეამოწმა და მათში შენიშნა მამაკაცი, რომელიც ქალების ტუალეტიდან გამოდიოდა, ხელში კი სმარტფონი ეჭირა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი



თარაზულად: 6. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 7. წრის ნაწილი; 8. რამაზ ჩხიკვაძის სცენური სახე; 11. გერმანელი კომპოზიტორი (1685-1759); 12. წყლისპირა მცენარე; 13. ფულის ერთეული გვატემალაში; 17. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 18. ლადინო ენაზე მოლაპარაკე ებრაელები; 22. ცირკ-ამფითეატრის დღემდე მოღწეული ნანგრევები რომში; 23. ... დოდაშვილი; 24. მოწინააღმდეგის გზის გადაჭრა ველოსპორტში; 25. ზღვის ფრინველი.

შვეულად: 1. ბუნების სურათი; 2. რკინის ჟანგი ფხვნილის სახით; 3. განდეგილი; 4. საგამოფენო დაფა; 5. დათვების ოჯახის ცხოველი; 9. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 10. გეგმა, განზრახვა; 14. ღია, მსუბუქი ავტომობილი; 15. კუჭუკანა ჯირკვალი; 16. მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ნაწილი სიტყვისა; 19. თხელი, ხმელი ნამცხვარი; 20. მამაკაცთა აჭარული ცეკვა; 21. გემსაშენი ვერფის ძირითადი ნაწილი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ХАН ЧАН ЗАН + МА ИН ЦЗОН

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ЖИЗАН ЗИ ЗАН

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ВЭЙ ФУ ДИ ЖУАНЬ ЗАН + СУН СЫО

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/